საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 221 (241) სამშაბათი, 12 ნოემბერი, 1991 წელი. ფასი 10 კაპიკი

გაეროს გენერალურ მდივანს, ბატონ ხავიერ პერეს დე კუელიარს მსოფლიოს ხალხებსა და პარლამენტებს

დაშლის პირამდე მისული იმპერია ამაოდ ცდილობს ყოველი ხერხით შეაჩეროს მამაცი და თავისუფლებისმოყვარე კავკასიელი ხალხების სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ. ამა წლის 27 აპრილს ჩვენ მოგმართეთ თქვენ, რომ მზადდებოდა სისხლიანი პროვოკაციები კავკასიაში. იმპერიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ინტენსიურად ნერგავდნენ აზრს, თითქოს „კავკასიელი ველურები“ და „ტუზემცები“ ცენტრის ჩარევის გარეშე ამოჟლეტდნენ ერთმანეთს. ამ „მოტივით“ როგორც საქართველოში, შიდა ქართლში (ყოფილ „სამხრეთ ოსეთში“), ისე ჩეჩნეთ-ინგუშეთში უხეში სამხედრო ძალის გამოყენებით ხდება მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკება. დღეს დილით ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში, სადაც უნდა მომხდარიყო საყოველთაო არჩევნების გზით არჩეული ჩეჩნეთის პრეზიდენტის ბატონ ჯოხარ დუდაევის ინაუგურაცია, იმპერიის სამხედრო ძალები თავს დაესხნენ ჩეჩენ პატრიოტებს. მოსალოდნელია სისხლისღვრა. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, შეტაკებები გრძელდება, ხდება ახალი სამხედრო შენაერთების შეყვანა ჩეჩნეთის ტერიტორიაზე. მზადდება იმ თავისუფლებისმოყვარე და ვაჟკაცი ხალხის გენოციდი, რომლის მიმართაც ჯერ ცარისტულმა, ხოლო შემდეგ ბოლშევიკურმა იმპერიამ უკვე ორჯერ (1878 და 1944 წლებში) განახორციელა მასობრივი რეპრესიები, რის შედეგადაც ათიათასობით ჩეჩენი იქნა ფიზიკურად მოსპობილი და იძულებით გასახლებული სამშობლოდან.

მიგვაჩნია, რომ დაუშვებელია პოლიტიკური საკითხების უხეში სამხედრო ძალის გამოყენებით გადაწყვეტა. ნებისმიერი სადავო საკითხი უნდა წყდებოდეს მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით. იმედი გვაქვს, რომ გაერო, მსოფლიოს ხალხები და პარლამენტები გულთან ახლოს მიიტანენ მცირერიცხოვანი ჩეჩენი ხალხის ტრაგედიას და ხმას აღიმაღლებენ სამხედრო აგრესიის წინააღმდეგ. ჩვენი აზრით, უხეშად ითელება როგორც ჩეჩენთა, ისე ქართველთა ეროვნული უფლებები (ვგულისხმობთ ყოფილ „სამხრეთ ოსეთს“). ამიტომ მოვითხოვთ გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის ექსპერტთა და მეთვალყურეთა ჯგუფის სასწრაფოდ ჩამოსვლას, რათა ადგილზე (ქ. გროზნოსა და შიდა ქართლში) შეისწავლონ შექმნილი მძიმე მდგომარეობა და ხელი შეუწყონ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 9 ნოემბერი.

წერილი რუსეთის პრეზიდენტს

პატივცემულო ბორის ნიკოლაის ძევ!

ქართველი ხალხი შეშფოთებით ადევნებს თვალს მოვლენების განვითარებას ჩეჩნეთ-ინგუშეთში. აქ საგანგებო წესებისა და კომენდანტის საათის გამოცხადება ჩვენთვის მოულოდნელი იყო, რადგან ყოველთვის გიცნობდით თქვენ, როგორც ხალხთა თავისუფლების ქომაგსა და დემოკრატიის დამცველს, რაც დაადასტურა თქვენმა ძალისხმევამ ბალტიისპირეთის ხალხების დამოუკიდებლობის მოძრაობის მხარდასაჭერად, რეაქციული საგანგებო წესების სახელმწიფო კომიტეტის წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ ახლა მოვლენების ესოდენ მკვეთრი შემობრუნება სინანულს იწვევს. საფრთხე შეექმნა თავისუფლებისმოყვარე ჩეჩენ ხალხს. ძალადობის ესკალაციამ ჩეჩნეთ-ინგუშეთში შეიძლება შეარყიოს თქვენი ავტორიტეტი ყოფილი საბჭოთა იმპერიის ხალხთა თვალში, რომლებიც დამოუკიდებლობისთვის იბრძვიან.

იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ ვითარების შემდგომი გამწვავება კავკასიაში, გთხოვთ გააუქმოთ საგანგებო წესები გროზნოში, პატივი სცეთ ჩეჩენი ხალხის ნების გამოხატვას, რომელიც ესწრაფვის თვითგამორკვევასა და თავისუფლებას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისში 1991 წლის 9 ნოემბერს გამართული მრავალათასიანი მიტინგის მონაწილეთა სახელით.

შაბათს, 9 ნოემბერს უზენაესი საბჭოს წინ გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ინტელიგენციის წარმომადგენლებმა. სიტყვით გამოვიდა რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია.
მიტინგზე მიიღეს მიმართვა.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

გაეროს გენერალურ მდივანს ბატონ
ხავიერ პერეს დე კუელიარს
აშშ პრეზიდენტს ბატონ ჯორჯ ბუშს
საფრანგეთის პრეზიდენტს ბატონ
ფრანსუა მიტერანს
იტალიის პრეზიდენტს ბატონ
ფრანჩესკო კოსიგას
კანადის პრემიერ მინისტრს ბატონ
ბრაიან მალრუნის
ინგლისის პრემიერ მინისტრს ბატონ
ჯონ მეიჯორს
ესპანეთის პრემიერ მინისტრს
ბატონ ფელიპე გონსალესს
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის
კანცლერს ბატონ ჰელმუტ კოლს
ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს
რეიტერის სააგენტოს
ფრანს პრესის სააგენტოს
ბი-ბი-სის
სი-ენ-ენს
მსოფლიოს ყველა კეთილი ნების ადამიანს

საქართველოს ხელოვნების, მეცნიერების, კულტურისა და განათლების მოღვაწეების

მიმართვა

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქართველი ერი მის მიერ ერთსულოვნად არჩეული პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას წინამძღოლობით დღეს თავგანწირულად იბრძვის, რათა განთავისუფლდეს რუსული საბჭოთა იმპერიის კლანჭებისაგან.

გასული წლის 28 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში პირველმა — საქართველომ ჩაატარა მრავალპარტიული არჩევნები, სადაც გაიმარჯვა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“, რომლის სპიკერი გახლდათ ბატონი ზვიად გამსახურდია. ამა წლის 31 მარტს ჩატარდა რეფერენდუმი, სადაც საქართველოს მრავალეროვნული მოსახლეობის 98 პროცენტმა ხმა მისცა საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფას და დამოუკიდებლობის აღდგენას. 26 მაისს კი მოეწყო პრეზიდენტის არჩევნები. სადაც მოსახლეობის 87 პროცენტმა მისცა ხმა თავის რჩეულ გმირს, ზვიად გამსახურდიას, რის შემდეგაც პრეზიდენტისა და მისი კურსის პოპულარობა, მისი დემოკრატიული რეფორმებისაკენ მიზანსწრაფული სვლის გამო სულ უფრო და უფრო იზრდება საქართველოს მოსახლეობაში. 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს პარლამენტის სხდომაზე ერთსულოვნად იქნა მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაცია 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.

ვფიქრობთ ეს ფაქტები მრავლისმთქმელია და შეგიქმნით სწორ წარმოდგენას საქართველოში არსებულ რეალურ სიტუაციაზე.

საბჭოთა იმპერიული ძალები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა არ დაუშვან საქართველოს სახით მთელი კავკასიის რეგიონის დაკარგვა.

დღეს საქართველოს და მის პრეზიდენტს კრემლი ებრძვის სამარცხვინო და არასაკადრისი იარაღით — სიცრუით, ცილისწამებით და დეზინფორმაციით.

ჩვენ შეჩვეული ვართ იმას, რომ საბჭოთა კავშირის საინფორმაციო საშუალებები ლენინიდან ცრუობდნენ. სიმართლეს ვიგებდით უცხოეთის „ხმებიდან“, რომლებსაც რისკის ფასად ვუსმენდით ხოლმე. რაოდენ სამწუხაროა, რომ დღეს ის „ხმები“ და სააგენტოები კრემლის სიცრუეს იმეორებენ და ავრცელებენ მთელ მსოფლიოში.

ჩვენ, არცთუ უსაფუძვლოდ, შეშფოთებული ვართ იმით, რომ დასავლეთის სააგენტოები გვერდს უვლიან ჩვენი ხალხის მიერ დემოკრატიული გზით არჩეული ხელისუფლების პრესცენტრის მიწოდებულ მართალ ინფორმაციას და ეყრდნობიან ინფორმაციას კრემლისას, რომელიც თავად არის ინსპირატორი საქართველოში მომხდარი ყველა პროვოკაციისა, იქნება ეს 1989 წლის 9 აპრილი, ახლანდელი ომი სამაჩაბლოში (ყოფილ „სამხრეთ ოსეთში“) თუ სექტემბერ-ოქტომბრის პუტჩი თბილისში.

ჩვენ მოვითხოვთ შეწყდეს საქართველოსა და მისი პრეზიდენტის შესახებ უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების მიერ სიცრუისა და დეზინფორმაციის გავრცელება. მოვითხოვთ მხოლოდ და მხოლოდ სიმართლეს და ობიექტურობას. გთხოვთ უყურადღებოდ არ დატოვოთ ჩვენი თხოვნა და ამოგვიდგეთ მხარში, რათა სიმართლემ გაიმარჯვოს.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არის და დარჩება მის მიერ ერთსულოვნად არჩეული პრეზიდენტის (ყოფილი დისიდენტის, ჰელსინკის კავშირის დამაარსებლის საქართველოში 1976 წელს) ერთგული იმიტომ, რომ:

1. იგი არის დემოკრატი და ჰუმანისტი.
2. იგი არის ჭეშმარიტი ქრისტიანი და შემოქმედი.
3. იგი არის ადამიანის უფლებათა დაცვის ნამდვილი გარანტი.

მისი დიქტატორობა და საქართველოში პოლიტპატიმრების არსებობა სრული სიცრუეა. ის, ვისაც ე. წ. ოპოზიცია (თუ შეიძლება დესტრუქციულ ძალებს ოპოზიცია ეწოდოს) პოლიტპატიმრებად სახავს, სინამდვილეში კრიმინალური დამნაშავეა და საერთაშორისო სამართლის მიხედვით ალბათ გაცილებით მეტ სასჯელს იმსახურებს.

იმედია ჩვენი ხმა მოაღწევს თქვენამდე და შედეგსაც გამოიღებს.

უმორჩილესად გთხოვთ, რაც შეიძლება სწრაფად გამოგზავნოთ მეთვალყურეთა ჯგუფი, რომელიც პირდაპირი კონტაქტების მეშვეობით, მოსკოვის გვერდის ავლით, ადგილზე შეისწავლის საქართველოში არსებულ რეალურ ვითარებას.

ეს საქმე გადადებას ვერ ითმენს.

აკაკი გაწერელია — მწერალი, გია მარგველაშვილი — პროფესორი, ფიზიკოსი, ვახტანგ ბოჭორიშვილი — პროფესორი, ექიმი, ალექსი მაჭავარიანი — კომპოზიტორი, მედეა ფანიაშვილი — პიანისტი, ვახტანგ პარკაძე — აკადემიკოსი, ფიზიკოსი, კახა მიგინეიშვილი — მხატვარი, ქეთევან ერისთავი — თსუ მასწავლებელი, ნანა საბაშვილი — ბიოლოგი, დევის ფოჩხუა — ინჟინერი, შარლამ ნიკოლაძე — რეჟისორი და ა. შ. სულ 15887 ხელმოწერა.
ხელმოწერა გრძელდება.

ყარაჩაევსკი. საბჭოების სახლი ყარაჩაელი ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციას „ჯამაგათს“

ძმებო ყარაჩაელებო!

თქვენი ხალხისათვის ამ სამგლოვიარო დღეს, სამძიმარსა და გულწრფელ თანაგრძნობას გიცხადებთ. ქართველი ხალხისათვის სრულიადაც არ არის სულ ერთი თქვენი მრავალტანჯული, შრომისმოყვარე და ვაჟკაცი ხალხის ბედი. ჩვენი ისტორია სავსეა ურთიერთგაგების, ძმობის, ჭირსა და ლხინში ერთმანეთის მხარდაჭერის შესანიშნავი მაგალითებით. ჩვენი წინაპრები იმდენად აფასებდნენ და პატივს სცემდნენ ერთმანეთს, რომ შექმნეს ძმადნაფიცობის დიდებული და განუმეორებელი ინსტიტუტი, როცა ყარაჩაელ ბავშვებს აღსაზრდელად აბარებდნენ თქვენი მეზობლების ოჯახებს — ქართველ მთიელებს ქართული ენისა და კულტურის შესასწავლად, ქართული ადათ-წესებით აღსაზრდელად, სამაგიეროდ კი ქართველი ბავშვები სრულწლოვანებამდე ცხოვრობდნენ ყარაჩაელთა ოჯახებში, იზრდებოდნენ თქვენი ხალხის საუკეთესო ტრადიციების მაგალითით. უფროს თაობაში ახლაც ცხოვრობენ და თავს კარგად გრძნობენ ქართველები, თავიანთი მშობლების ყონაღთა აღზრდილები, და ქართულ ოჯახებში აღზრდილი ყარაჩაელები. ერთმანეთის ენების, ფოლკლორის, ადათ-წესების ცოდნა, ერთმანეთის პატივისცემა დაეხმარა ჩვენ ხალხებს ძნელბედობის ჟამს. ხოლო როცა 1944 წლის 7 ნოემბერს ყარაჩაელებს თავს დაატყდათ უბედურება და მათი ოჯახები იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ სამშობლო, წინაპართა კერები, ქართველთა მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა. იყო მაგალითები, როცა ქართველებმა ნებაყოფლობით გაიზიარეს თავიანთი ძმადნაფიცების ხვედრი და მათთან ერთად გადასახლებაში აღმოჩნდნენ.

პატივცემულო მეგობრებო! ქართველი ხალხი, ესწრაფვის რა სრულ დამოუკიდებლობას, წმინდად ინახავს მათ ხსოვნას, ვინც მსხვერპლად შეეწირა გენოციდის დანაშაულებრივ პოლიტიკას, საბჭოთა იმპერია რომ ახორციელებს. თავს ვხრით მათი ხსოვნის წინაშე.

ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ ამაყ და ვაჟკაც ყარაჩაელ ხალხს.

საქართველო თქვენთან არის და მხარს უჭერს თქვენს საუკეთესო მისწრაფებებს.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
აკაკი ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 9 ნოემბერი.

ქალბატონ ე. ბონერს

გავეცანით თქვენს კაცთმოძულე განცხადებას, რომელიც ქალაქ ოსლოში გაგიკეთებიათ და რომლითაც დასავლეთის ქვეყნებს მოუწოდებთ დახმარების გაწევისას თავი შეიკავონ იმ რესპუბლიკებში სახსრების გაგზავნისაგან, სადაც კვლავ ბოროტად არღვევენ ადამიანის უფლებებს. კერძოდ, ასეთ რესპუბლიკათა შორის დასახელებული იყო საქართველო და აზერბაიჯანი („იზვესტია“, № 265).

საბჭოთის ხელმძღვანელობას არაერთგზის განუცხადებია, რომ განზრახული აქვს შექმნას სამართლებრივი სახელმწიფო. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ასეთი სამართლებრივი სახელმწიფო რუსეთში ჯერ არ შექმნილა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ დატოვებდა მილიონობით რუსეთელი, რომლებიც ემიგრანტებად მიემგზავრებიან დასავლეთის ქვეყნებში.

საბჭოთა ადამიანები ყოველთვის გვევლინებოდნენ არა თავიანთი თანამოქალაქეების, არამედ სხვა ქვეყნების მოქალაქეთა უფლებების დამცველებად. მათ აღშფოთებას იწვევდა ის, რომ ლინჩის წესით ასამართლებენ ზანგებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ავიწროებენ არაბებს ისრაელში, აპატიმრებენ დემოკრატებს საბერძნეთში.

როგორც ჩვენთვის ცნობილია თქვენს ვიზიტს აზერბაიჯანში, სადაც წაიკითხეთ ლექციათა ციკლი ადამიანის უფლებების შესახებ, წარმატება არ ჰქონია. ახლა თავს უფლებას აძლევთ დაეჭვდეთ საქართველოს დემოკრატიულ საფუძვლებში, სადაც საბჭოთა კავშირის ისტორიაში პირველად შეიქმნა კიდეც დემოკრატიული ინსტიტუტები.

ჰუმანიტარული დახმარება საქართველოს პირობებში განკუთვნილი იყო მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთათვის, და ამიტომ მოწოდებანი მისი შეწყვეტის შესახებ ანტიჰუმანური, კაცთმოძულეა, როცა მოითხოვდით საქართველოს ეკონომიკურ ბლოკადას, თქვენ მხედველობიდან გამოგრჩათ ის უმცირესი დეტალი, რომ ეკონომიკური დახმარება არ მოაღწევს არა მარტო ქართველებამდე, არამედ რუსი ეროვნების მოქალაქეებამდეც, რომელთა რიცხვი საქართველოში ნახევარ მილიონს აღწევს.

ადამიანის უფლებებზე მსჯელობისას, საჭიროა ამა თუ იმ ქვეყნის სინამდვილის ცოდნა. ჩვენს სინამდვილეს კი, როგორც ჩანს, თქვენ არ იცნობთ.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ პირველი შემთხვევა როდია, როცა თქვენ ცდილობთ სხვებს მოახვიოთ თავს თქვენი აზრები.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პრესსამსახური

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პრესსამსახურის განცხადება

ამა წლის ნოემბრის დამდეგს ქალაქ სოხუმში გაიმართა კავკასიის მთიელ ხალხთა მესამე ყრილობა, რომელშიც მონაწილეობდა 13 დელეგაცია, მათ შორის აფხაზეთიდან და არარსებული სამხრეთ ოსეთიდან. ყრილობის მიზანი იყო დამოუკიდებლობისაკენ კავკასიის ხალხთა მოძრაობის კონსოლიდაცია.

ვცნობთ რა თითოეული ხალხის უფლებას თავად განაგებდეს საკუთარ ბედს და ირჩევდეს თავისი განვითარების დამოუკიდებელ გზებს, პატივს ვცემთ რა ჩვენი მეზობლების მისწრაფებას თავიდან მოიშორონ იმპერიის ბორკილი, ამავე დროს უნდა განვაცხადოთ შემდეგი:

ყრილობის გადაწყვეტილებით კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციული კავშირის შემადგენლობაში აფხაზეთის შეყვანა, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ავტონომიური ფორმირებაა, სრულიად მცდარია როგორც საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, ასევე იმ მიზეზების გამო, რომლებიც ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის, აგრეთვე აფხაზეთის კონსტიტუციას. სამწუხაროა, რომ ამით ყრილობამ ცხადყო თავისი უპატივცემულობა სუვერენული საქართველოს სახელმწიფოსადმი, აჰყვა ექსტრემისტულ ძალებს, რომლებიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ნიღბით, სინამდვილეში მეტროპოლიის მითითებით, იმპერიული დიქტატის საამებლად მოქმედებენ.

ყრილობამ კონფედერაციის შემადგენლობაში შეიყვანა სამხრეთ ოსეთი. საკითხავია — რომელი: სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელმაც თვითონ გააუქმა თავი, თუ რუსეთის სფსრ შემადგენლობაში მყოფი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რაზეც ოცნებობენ ოსი ექსტრემისტები და მათი მოსკოველი მფარველები. ყრილობაზე ბევრს ლაპარაკობდნენ კავკასიის ხალხთა ერთიანობაზე, მაგრამ როგორ შეიძლება ლაპარაკი რეგიონის ურთიერთობაზე, როცა საქართველოს რესპუბლიკას, დაშლილი საბჭოთა იმპერიის შემადგენლობიდან ერთ-ერთ პირველ სახელმწიფოს, რომელმაც თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა, უგულებელყოფენ, ხოლო მისი ტერიტორიის ნაწილი ყრილობას თვითნებურად შეჰყავს სხვა სახელმწიფო ფორმირების შემადგენლობაში. საერთაშორისო სამართლის ენაზე ეს კვალიფიცირდება როგორც ანექსიის ცდა.

ამასთან დაკავშირებით უპრიანი იქნება შევახსენოთ ყრილობის დელეგატებს, რომ მათ ამ მხრივ შორს გაუსწრეს ბოლშევიკებს, რომლებმაც 1918 წელს, როცა მთიელთა რესპუბლიკა შექმნეს და არსებითად აღადგინეს რუსეთის იმპერია თავის ყოფილ საზღვრებში, ვერ გაბედეს ხელყოთ საქართველოს მიწა-წყალი. დღეს კი ყრილობის მომწყობთათვის ისეთი სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შეუვალობის, ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი, როგორიც საქართველოს რესპუბლიკაა, არაფერს არ ნიშნავს. დადის ჭორები, რომ კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის პარლამენტის დედაქალაქად და ადგილსამყოფლად სურთ აირჩიონ... არც მეტი, არც ნაკლები — ქალაქი სოხუმი, ის სოხუმი, რომელიც ოდინდელი ქართული ქალაქია. ტერიტორიაა, რომელიც უხსოვარი დროიდან ქართველი ტომებით იყო დასახლებული, და სადაც აფსუები (აფხაზები) მხოლოდ XX საუკუნის დამდეგს გამოჩნდნენ.

იმპერიული ჩვევები ყველგან და ყველაფერში სტერეოტიპულია. თავისუფლების სულისკვეთება, რომელზეც ბევრს ლაპარაკობდნენ დელეგატები ყრილობის საბრძოლო ატმოსფეროში, აუგიარახსნილ შოვინიზმად და აგრესიულ ნაციონალიზმად გადაიქცა. და შემთხვევითი არ იყო, რომ კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ ი. შანიბოვმა არაორჭოფულად ილაპარაკა ყრილობის ტრიბუნიდან კავკასიის მეორე ომზე. შემთხვევითი არ არის ამიტომ, რომ დამპყრობლური ამბიციები ყოველთვის სისხლისღვრაში გადადის. ამის მაგალითები ისტორიაში მრავალია, უკანასკნელი ომი ექსტრემისტების თვითნებობაა ქართულ მიწა-წყალზე.

პრობლემების მშვიდობიან გადაწყვეტაზე ყრილობის დელეგატები არც კი ფიქრობენ, აი, რას წერს „ნეზავისიმაია გაზეტას“ კორესპონდენტი ნატალია პაჩეგინა (1991 წ. 6.XI. № 139): „სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს ურთიერთობის საკითხები უნდა გადაწყდეს კავკასიის სასამართლოზე, — თქვა ი. შანიბოვმა... გათვალისწინებულია კონფედერაციის სახელით სამხრეთ ოსეთის რაიონში გაიგზავნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების ტიპის სამხედრო ფორმირებანი „ცისფერი ჩაჩქნები“.

რაც შეეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, — ეს ელემენტარული უწიგნურობაა, რადგან იგი საერთაშორისო ორგანიზაციაა, კონფედერაცია კი სახელმწიფოთა კავშირია. სხვა ქვეყანაში თავისი ჯარების გაგზავნით იგი ახორციელებს აგრესიას. ეს შანიბოვმა ან არ იცის, ანდა მისთვის სხვა ქვეყნის საქმეებში ჩარევა არ წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას. უფრო — ერთიც და მეორეც, რაც ფრიად სამწუხაროა კონფედერაციის პრეზიდენტის ტიტულით აღჭურვილი პირისთვის. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ი. შანიბოვის მრავალ განცხადებაში შეიმჩნევა ანტირუსული და ანტიქართული ტენდენციები, ისლამური ექსტრემიზმის აღორძინებისადმი მისწრაფება.

ყრილობაზე შეკრებილ მთიელებს, ჩვენთვის დიდად სამწუხაროდ, როგორც ჩანს, დაავიწყებიათ მთიელთა მრავალი წეს-ჩვეულება. ან იქნებ დელეგატებმა შეგნებულადაც გადაწყვიტეს არაფრად ჩაეგდოთ ეს წეს-ჩვეულებანი. დასანანია, რამეთუ კავკასიაში არსად არ ნახულა, რომ სტუმარი ლანძღავდეს ოჯახის თავს. ამასთანავე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ლანძღვა-გინება, არაერთგზის რომ გაისმა ყრილობაზე, მეტი რომ არ ვთქვათ, არ ეკადრება მასპინძლის ღირსებისადმი ტრადიციულ კავკასიურ პატივისცემას. ყრილობის დელეგატთა სინდისზე იყოს კ. ოზგანის არჩევა კავკასიის გაერთიანებათა კომიტეტის თავმჯდომარედ, ხოლო ტ. კულუმბეგოვისა — კავკასიის პარლამენტის პრეზიდენტად. შევახსენებთ მხოლოდ, რომ პირველის სინდისზეა — აფხაზეთში 1989 წლის ივლისის ამბების უდანაშაულო მსხვერპლთა სისხლი, ხოლო მეორე უკვე წარსდგა სასამართლოს წინაშე სისხლის სამართლის დანაშაულობებისა და ეროვნებათშორისი შუღლის გაღვივებისათვის.

ვაჯამებთ რა ყოველივე ზემოთქმულს, უნდა ვაღიაროთ, რომ კავკასიის მთიელ ხალხთა მესამე ყრილობამ, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე, ქალაქ სოხუმში მიმდინარეობდა, ჩვენი ქვეყნისადმი მტრული ძალების ნებით უპატივცემულობა გამოავლინა საქართველოს რესპუბლიკისადმი.

უფრო მეტიც, მისი სულისკვეთება და გადაწყვეტილებანი ხელს არ უწყობს კავკასიის ხალხთა ნამდვილი გაერთიანების საქმეს, უფრო გამსჭვალულია იმ იდეოლოგიით, რომელმაც გაგვთიშა ჩვენ, დაამყარა იმპერიის ძალაუფლება რუსეთის იმპერიისა და ბოლშევიკური ტოტალიტარიზმის მიერ დამონებულ თავისუფლებისმოყვარე კავკასიაში.

ყოველივე ეს ნებას გვაძლევს ეჭვი შევიტანოთ კავკასიის მთიელ ხალხთა III ყრილობის დელეგატების უფლებამოსილებაში, რამეთუ ჭეშმარიტი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რეგიონში, კერძოდ, ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და დაღესტანში, მიმდინარეობს სულ სხვა გზით და არცთუ ვეკაჩეპისტთა აღტაცებული აფხაზი თაყვანისმცემლებისა და მათი ოსი „ამხანაგების“ მონაწილეობის გარეშე.

შანიბოვისა და კომპანიის გზას კი უკან მიჰყავს ჩიხში. რომელშიც 70 წელზე მეტი ხნის წინათ მოამწყვდიეს კავკასიის ხალხები ბოლშევიკებმა.

ისტორიის ჩარხს კი, როგორც ცნობილია, უკუღმა ვერ შეატრიალებ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის
ბრძანებულება
საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული საბჭოთა არმიის კუთვნილი იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკის, სამხედრო ბაზებისა და სხვა სამხედრო ქონების შესახებ

გათვალისწინებით იმისა, რომ საქართველოს რესპუბლიკის ინტერესების დაცვა, მისი ტერიტორიის მთლიანობის შენარჩუნება, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, ნებისმიერი აგრესიის მოგერიების უზრუნველყოფა და სამოქალაქო მშვიდობის დამყარება მოითხოვს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შექმნას და რომ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შექმნა-ფორმირება მნიშვნელოვანწილად მოხდა საქართველოს რესპუბლიკის მშრომელთა ხარჯზე, **ვადგენ:**

1. გამოცხადდეს საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული საბჭოთა არმიის კუთვნილი იარაღი, საბრძოლო მასალა, მიმოსვლის საშუალებები, სამხედრო ტექნიკა, სამხედრო ბაზები და სხვა სამხედრო ქონება.
2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დაიწყოს მოლაპარაკება სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის შესაბამის ორგანოებთან ამ ბრძანებულების პირველ პუნქტში აღნიშნული ქონების საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოსაცემად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 11 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის
ბრძანებულება
ე. ე. ნიჟარაძის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ენვერ ეფრემის ძე ნიჟარაძე საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 9 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის
ბრძანებულება
ლ. ბ. გირგვლიანის დმანისის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ლერი ბესარიონის ძე გირგვლიანი დმანისის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 11 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის
ბრძანებულება
ა. ი. ტატუაშვილის დმანისის რაიონის პრეფექტის მოვალეობის დროებით შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ალექსი იოსების ძე ტატუაშვილი დმანისის რაიონის პრეფექტის მოვალეობის დროებით შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 11 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

ცენტრალური საარჩევნო კომისია იუწყება, რომ გამოკლებული დეპუტატების ნაცვლად 22 დეკემბერს დანიშნული არჩევნებისათვის საოლქო საარჩევნო კომისიებში ამომრჩეველთა ჯგუფების მიერ დეპუტატების დამოუკიდებელი კანდიდატების წარდგენის მიზნით განცხადებების შეტანის ვადა იწურება ა. წ. 14 ნოემბრის 21 საათზე, მხარდამჭერთა სიისა და კანდიდატის თანხმობისა — 18 ნოემბრის 21 საათზე, ხოლო შესწორებული საბუთებისა — 27 ნოემბრის 21 საათზე; პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დეპუტატობის კანდიდატთა წარდგენის ვადა იწურება 25 ნოემბრის 21 საათზე.

მიმართვა ჩეჩენ და ინგუშ ხალხს

ძვირფასო დებო და ძმებო!

მოგმართავთ ჩეჩნეთ-ინგუშეთში მოვლენათა განვითარების გამო. ჩვენ დიდ შეშფოთებას და გულისწყრომას გამოვხატავთ რსფსრ პრეზიდენტის მიერ საგანგებო მდგომარეობის და კომენდანტის საათის შემოღებასთან დაკავშირებით იმ რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რომლის ხალხიც იბრძვის დამოუკიდებლობისათვის, მრავალსაუკუნოვანი ეროვნული, კულტურული და სულიერი ტრადიციების აღორძინებისათვის. ყოველ ერს აქვს კანონიერი უფლება თვითგამორკვევისა და გაუმართლებლად მიგვაჩნია ერის მისწრაფების დათრგუნვა უხეში ძალის გამოყენებით. ვუცხადებთ რა სოლიდარობას ჩეჩენ-ინგუშეთის მებრძოლ ხალხს, ვიმედოვნებთ, რომ გამოიჩენთ სიმტკიცესა და პოლიტიკურ სიბრძნეს, რომელიც ოდითგანვე ახასიათებდა კავკასიელ ხალხებს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპარლამენტო ფრაქცია „ქარტია-91“-ის დეპუტატები: თ. ბაატაშვილი, მ. კვანჭილაშვილი, მ. ურიდია, ი. მელაშვილი, გ. კობერიძე, გ. ჩორგოლაშვილი, მ. დვალიშვილი, თ. დიხამინჯია.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბ. ელცინს
რუსეთის ფედერაციის უზენაეს საბჭოს
მიმართვა

შეშფოთებული ვართ ჩეჩნეთ-ინგუშეთში მოვლენების განვითარებით, სადაც პრეზიდენტის ბრძანებულებით საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათია შემოღებული, რასაც შესაძლოა მოჰყვეს ტრაგიკული შედეგები კავკასიის ხალხებისათვის. ვფიქრობთ, არსებული კრიზისის რეგულირებისათვის ყველა შესაძლებელი მშვიდობიანი საშუალება ჯერ არ არის გამოყენებული, დაუშვებელია ძალისმიერი მეთოდებით დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხთან ურთიერთობის გამორკვევა, ხალხთან, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები და ტრაგიკული ისტორია აქვს. ნაჩქარევი საგანგებო ღონისძიებების შემოღება ეჭვქვეშ აყენებს თქვენს მიერ გაკეთებული ზოგიერთი განცხადების გულწრფელობას და გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ ახლად ფეხადგმულ რუსულ დემოკრატიას წინ ელის დიდი გამოცდა იმპერიული ამბიციების გადალახვის გზაზე.

9 ნოემბერი, 1991 წელი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპარლამენტო ფრაქცია „ქარტია-91“-ის დეპუტატები:
თ. ბაატაშვილი, მ. კვანჭილაშვილი, მ. ურიდია, ი. მელაშვილი, გ. კობერიძე, გ. ჩორგოლაშვილი, მ. დვალიშვილი, თ. დიხამინჯია.

მინაწერი: 10 ნოემბერს დილით „ქარტია-91“-ის წარმომადგენლები მ. კვანჭილაშვილი, ი. მელაშვილი მ. ურიდია ჩეჩენი და ინგუში ხალხებისადმი სოლიდარობის გამოხატვის მიზნით გაემგზავრნენ ქ. გროზნოს.

ეკონომიკური პროცესების დაჩქარება შეუძლებელია

9 ნოემბერს მინისტრთა კაბინეტის შენობაში გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ბატონ ბესარიონ გუგუშვილის პრეს-კონფერენცია ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის.

— ბატონო ბესარიონ, საზოგადოებისათვის ცნობილია ახალი ეკონომიკური პოლიტიკის თქვენეული კონცეფცია. პრაქტიკულად რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ, რომ ამ კონცეფციას მოერგოს ჩვენი დღევანდელი ეკონომიკური სიტუაცია და როგორ ყალიბდება უფრო ფართოდ თქვენთვის, როგორც პრემიერ-მინისტრისათვის, ტერმინი „სახელმწიფო კაპიტალიზმი" ჩვენს ეკონომიკურ სინამდვილეში?

— გარდამავალ პერიოდში ჩვენ საქმე გვაქვს ორ ეკონომიკასთან: სახელმწიფო და კერძო ეკონომიკასთან. კერძო ეკონომიკა რა არის, ყველას კარგად მოეხსენება. ეს არის კაპიტალისტური ეკონომიკა, როგორც მას ადრე ვუწოდებდით.

აქვე ვიტყვი, რომ დღეს ტერმინოლოგია იცვლება. წინათ თუ მას „კაპიტალისტურს" ვუწოდებდით, ახლა ვუწოდებთ „საბაზროს". იგივე ტერმინოლოგიით საკმაოდ უხერხული ტერმინი „სახელმწიფო კაპიტალიზმი" არის სახელმწიფო სექტორი, რომელიც უშუალოდ მუშაობს საბაზრო ეკონომიკის პირობებში. არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ სახელმწიფო სექტორი კაპიტალიზმის (ანუ საბაზრო ეკონომიკის) დროს ისევე იმუშავებს, როგორც სოციალისტურის დროს მუშაობდა. სახელმწიფო სექტორი კიდევ კარგა ხანს იქნება და მან უნდა იმუშაოს საბაზრო ეკონომიკის ვითარებაში. მე ამას ასე წარმოგიდგენთ: სახელმწიფო საბაზრო ეკონომიკა, ეს სექტორი არის ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოში, ყველა ქვეყანაში და მუშაობს საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი წესით.

სახელმწიფოს ხელშია მთელი რიგი საწარმოები, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში შეიძლება მომგებიანი არც იყოს, მაგრამ საჭირო იყოს სახელმწიფოს რეალური ინტერესებისათვის. ამ მოკლე ხანში, მას შემდეგ, რაც უფრო ღრმად ჩავწვდი ჩვენი ეკონომიკის რეალურ მდგომარეობას, უნდა ვთქვა, რომ ჩემი კონცეპტუალური ბაზა არსებითად არ შეცვლილა. უფრო მეტიც, მე გამოვთქვი გარკვეული წინასწარმეტყველებები და ისინი ფაქტობრივად ახდა. ეკონომიკური ბლოკადა ძლიერდება, ფულის დეფიციტი მატულობს; აუცილებელი გახდა საკუთარი ფულის მოჭრაც, რაც დაგეგმილი იყო 1994 წლისათვის და ა. შ., ასე, რომ, ვფიქრობ, ნებისმიერი თეორია ვარგისია იმდენად, რამდენადაც მას წინასწარმეტყველება შეუძლია.

— ბატონო ბესარიონ, სოციალისტურ-კომუნისტური სტრუქტურების სრული დაშლის შემდეგ, რისი ერთ-ერთი დასტურია პრივატიზაცია, მოხდება სახელმწიფოებრივი ტერიტორიალურ-ადმინისტრაციული მოწყობის გადახალისება თუ იგივე სახით დარჩება?

— ჩვენთან არის რაიონული დაყოფა. იგი არსებითად პირობითია. რაიონი იმ სახით, რა სახითაც დღეს არსებობს, ეკონომიკურად საკმაოდ მობილური და მოქნილი ერთეულია და შეიძლება შევინარჩუნოთ გარკვეული დროის განმავლობაში. მაგრამ ვთვლი, რომ უნდა მოხდეს ერთი არსებითი ცვლილება: ეს რაიონები უნდა გახდნენ საბაზრო ეკონომიკის ფუნქციის მატარებლები. მას შემდეგ, რაც მოხდება წარმოების დეცენტრალიზაცია, საწარმოთა ნაწილი უნდა გადაეცეს მფლობელობაში რაიონებს. რესპუბლიკის მთავრობასა და რაიონის ხელმძღვანელობას შორის უნდა დაიდოს გარკვეული ეკონომიკური გარიგება — ეკონომიკური ხელშეკრულება. ეკონომიკური სტრუქტურები, რომლებიც კომუნისტურ რეჟიმში შეიქმნა და სადაც აბსოლუტურად ნიველირებული იყო რაიონების ეკონომიკური ფუნქცია, არ იყო ეკონომიკა. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში არსებობს რაიონის ეკონომიკა, როგორც ერთი რაღაც მთლიანობა. მას აქვს საკუთარი ქონება, საკუთარი შემოსავალი და ეკონომიკური იერარქია ე. ი. რაიონების ეკონომიკები, რომლებიც შეადგენენ მთელი რესპუბლიკის ეკონომიკას. რაც შეეხება ავტონომიებს, მათი საკითხი პოლიტიკური საკითხია. აფხაზეთს მივეცით გარანტია, რომ ის იქნება ავტონომიური ერთეული. ასე, რომ ბუნებრივად მიმაჩნია, რომ ასეთი ერთეული დარჩება. რაც შეეხება ყოფილ სამხრეთ ოსეთს, აქ დადგენილება მიღებულია და იქნება კულტურული ავტონომია, ისევე როგორც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში.

— ეს ხომ არ იქნება ძალიან შეზღუდული საბაზრო ეკონომიკა, როცა სახელმწიფო სექტორი რჩება კერძო სექტორზე ძლიერი?

— რაიონის ეკონომიკაში იგულისხმება როგორც რაიონში მდებარე სახელმწიფო სექტორი, ასევე რაიონში მდებარე კერძო სექტორი. მაგალითად, საწარმო გადასახადს გადაიხდის როგორც სახელმწიფო ბიუჯეტში, ასევე რაიონის ბიუჯეტში. აქედან დაინტერესდება რაიონი, რომ შექმნას ბევრი კერძო საწარმო, ამასთან იქნება სახელმწიფო საწარმოები, რომლებიც პირობითად რეგიონის, რაიონის საკუთრებაა. ამდენად, ეს დაპირისპირება კი არაა, არამედ — ერთი მთლიანის ორი მხარე. მაგრამ საჭიროა ზომიერება. იმის შეპირება, რომ პრივატიზაცია განხორციელდება ერთ-ორ წელიწადში, არ შეიძლება. ამას ამბობენ საბაზრო ეკონომიკის აპოლოგეტები. ეკონომიკური სტრუქტურები ასე სწრაფად არ იქმნება. ეკონომიკური პროცესები თანდათანობითი პროცესებია. ეკონომიკური პროცესების ხელოვნური დაჩქარება შეუძლებელია.

— ბატონო ბესარიონ, შიდა ქართლის პრობლემა აქტუალურია, როგორ მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები და რით ეხმარებით ქართულ სოფლებს?

— შიდა ქართლში საკმაოდ მძიმე სიტუაციაა, რაც გავლენას ახდენს ტერიტორიის ეკონომიკაზე. პირველ რიგში საჭიროა საშენი მასალები, რათა მოსახლეობამ გაიუმჯობესოს თავისი მდგომარეობა. საშენი მასალა, მიუხედავად საკმარისი მდგომარეობისა, შეტანილია. რაც შეეხება სასურსათო და სხვა მომარაგებას, ჩვენ ვქმნით შიდა ქართლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მთელი რეგიონის ფეხზე დაყენება. ასე რომ, შევეცდებით უზრუნველვყოთ ეს რეგიონი სურსათით და სხვა აუცილებელი რესურსებით. შიდა ქართლის პოლიტიკური და სოციალური ინტერესები მინისტრთა კაბინეტის ყოველდღიური ზრუნვის საგანია.

— ბატონო ბესარიონ, რას გვექადის ეკონომიკურ ხელშეკრულებაზე ხელმოუწერლობა?

— უზენაესი საბჭოს სესიაზე გაიმართა ცხარე კამათი ამის თაობაზე. სესიაზე ეს საკითხი პირველად განიხილეს. ძალიან დიდი წინააღმდეგობები შეიქმნა ჯერ კიდევ აუმოქმედებელ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. საქმე ისაა, რომ რუსეთმა უკვე დაარღვია ხელშეკრულება, გამოაცხადა რა ფასების ცალმხრივი აშვება. ხელშეკრულების მიხედვით ფასების მომატება უნდა მოხდეს ურთიერთშეთანხმებით. მეტიც, გაირკვა, რომ შუა აზიის რესპუბლიკები ძალიან შეშფოთებულები არიან რუსეთში ფასების მომატებით ამით იზარალებენ ეს რესპუბლიკები, რადგან მთელ რიგ რესურსებს იღებენ რუსეთიდან. ამიტომ ისინი შეიძლება ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. თუ დავუკვირდებით საკუთრივ საქართველოს პოზიციას, მინისტრთა კაბინეტი სწავლობს სიტუაციას, დოკუმენტს — ხელშეკრულების ტექსტს, იმასაც, თუ რას ნიშნავს გაერთიანების ასოცირებული წევრობა. ნიშანდობლივი და საგანგაშო იყო იავლინსკის განცხადება იმის თაობაზე, რომ ორმხრივი ხელშეკრულებები თავისი არსით ეწინააღმდეგება საკავშირო ხელშეკრულებას. ამიტომ საკავშირო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით რესპუბლიკებს ეკრძალებათ ორმხრივი ხელშეკრულებების დადება სხვა რესპუბლიკებთან. მთელი საბჭოთა ეკონომიკა აგებული იყო იმგვარად, რომ თავისუფალი ფასების პირობებში რუსეთი მოგებული ყოფილიყო. რესპუბლიკები ამზადებდნენ რაღაც ნახევარფაბრიკატებს და საბოლოო სახის პროდუქცია იღებდა რუსეთში. ამით რუსეთმა დაიკავალა ყველა რესპუბლიკა, არა მარტო იმ დროისათვის, არამედ მომავლისთვისაც. ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია, რა ბედი ელის ამ ხელშეკრულებას. ხოლო საჩქაროდ ხელის მოწერით მოიგებს ისევ რუსეთი. თანაც აქ არადემოკრატიული სტრუქტურა შეიქმნა. ეკონომიკურ გაერთიანებაში შედის ყველა პრემიერ-მინისტრი. მაგრამ ისინი კი არ ხელმძღვანელობენ პრემიერ-მინისტრთა კაბინეტს, არჩეულია საკავშირო პრემიერ-მინისტრი. ე. ი. მეორდება იგივე ვერტიკალური სისტემა. ფაქტობრივად, სილაევი დანიშნეს პრემიერ-მინისტრად. ამასთან ხელშეკრულების მიხედვით ხელს აწერენ არა დამოუკიდებელი, არამედ სუვერენული სახელმწიფოები. აქაც რაღაც სხვა აზრი აქვს გატარებული.

—ჩვენ არ მოვაწერეთ ხელს საკავშირო ეკონომიკურ ხელშეკრულებას. ამ შემთხვევაში ხომ არ ფიქრობთ, მაგალითად, ამიერკავკასიის სამ რესპუბლიკას შორის დავამყაროთ ეკონომიკური კავშირი, რომელიც პერსპექტივაში შეიძლება დაისახოს როგორც ერთიანი კავკასიის ეკონომიკური კავშირის სახლი, რაც თავის მხრივ შეარბილებს ჩვენს ეკონომიკურ მდგომარეობას?

— ეკონომიკურ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა თუ ხელმოუწერლობა ერთობლივად გადაწყვეტს მინისტრთა კაბინეტი და უზენაესი საბჭო. ჯერჯერობით არც ჰო გვითქვამს და არც არა. შეიძლება ხელი მოვაწეროთ როგორც სრულუფლებიანმა წევრმა ან როგორც ასოცირებულმა. ასე რომ ჩვენს წინ გარკვეული პერსპექტივა არის. რაც შეეხება ერთიანი კავკასიის სახლს, ვფიქრობ, კავკასია უნდა იყოს რაღაც ერთიანი ქვეყნების თანამეგობრობა, როგორც კულტურული, პოლიტიკური და შესაძლოა სამხედროც იმიტომ, რომ ჩვენ ვართ ერთი გეოგრაფიული რეგიონი და ისტორიულად ძალიან მტკიცე კავშირები გვაქვს. ამდენად, ძალიან ბუნებრივად მეჩვენება კავკასიის გაერთიანება.

— რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით სამხედრო ტექნიკა, საბრძოლო მასალები და სხვა საკუთრება, რაც საქართველოს ტერიტორიაზეა, გამოცხადდა რესპუბლიკის საკუთრებად. შემუშავებულია თუ არა რესპუბლიკის სამხედრო ბიუჯეტის დაფინანსება?

— საკავშირო ბიუჯეტი ფინანსდებოდა რესპუბლიკების გადასახადებით. მოვლენები ლოგიკურად ვითარდება. ახლა საბჭოთა კავშირი იშლება და, რასაკვირველია, დღის წესრიგში დადგა ქართული მილიციის, თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის დაფინანსება, რადგან მისი შენახვა საქართველოს დაეკისრება. რესპუბლიკის ბიუჯეტში მომავალი წლისათვის უკვე იქნება განსაზღვრული შესაბამისი ხარჯები.

— როგორია საქართველოს მთავრობის პოლიტიკა აქციონერებთან დაკავშირებით. როგორი იქნება მისი დარგობრივი სტრუქტურა და რა ეტაპებად წარიმართება იგი? როგორ ფიქრობთ, დასაშვებია თუ არა პრივატიზაცია გაუფასურებული საბჭოთა მანეთის პირობებში?

— პრივატიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო, ეფექტიანი ფორმა, უფრო მეტიც, სამართლიანი და ეკონომიკურად მომგებიანი ფორმა არის სააქციო საზოგადოებად გადაქცევა. აქ საბაზრო მექანიზმი, ჯერ ერთი, სრულად მოქმედებს და მეორეც, მისი მოქმედება პერმანენტულია, თანდათანობითია. ამდენად, ჩვენ გვაქვს მექანიზმი, ესა თუ ის საწარმო, თუნდაც ძალიან დიდი, ვაქციოთ სააქციო საზოგადოებად და მივცეთ საშუალება კერძო სექტორს. იგი თანდათანობით გამოისყიდოს და არა უცბად.

ქართული მანეთის გამაგრების ერთ-ერთი საუკეთესო, თუმცა ხანგრძლივი, საშუალებაა პრივატიზაცია. პრივატიზაციის განვითარების პერიოდში შეგვიძლია უზრუნველვყოთ ჩვენი მანეთი რეალური სიმდიდრით. ქართული ფულის ერთეული რესპუბლიკის შიგნით გახდება არა მარტო საქონელთა, არამედ კაპიტალური საქონლის ეკვივალენტი. არსებითად იგი იქნება აქცია საერთო-სახალხო დოვლათში.

— თქვენ როგორი მექანიზმი მიგაჩნიათ დასაშვებად ქართული ვალუტის შემოღების საქმეში?

— როგორც ცნობილია, საკავშირო ორგანოები სულ უფრო და უფრო ნაკლებად გვაკმაყოფილებენ ფულის ნიშნებით. გარდაუვალია პერიოდი, როცა ჩვენთან იქნება საბჭოთა მანეთიც, ქართული ფულიც და დოლარიც. მაგრამ საპრივატიზაციო ობიექტების ან მისი აქციების შესყიდვა მოხდება მხოლოდ ქართული ფულით, ამით მას პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩავაყენებთ და საბჭოთა ფული თანდათანობით დარჩება მეორეხარისხოვნად.

— ეკონომიკური საზოგადოებრიობა ფართოდ ილაშქრებს ეკონომიკური სანქციების წინააღმდეგ. როგორ მიგაჩნიათ, რა ზომებს შეიძლება მიმართოს საქართველომ და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ეს უსიამოვნებანი?

— სამწუხაროდ, საქართველოს ეკონომიკა, განსაკუთრებით რაიონებში, ძალიან მოუმზადებელია მკვეთრი ეკონომიკური რყევებისათვის. მხედველობაში მაქვს ისეთი დარგები, როგორიცაა ხორბალი, შაქარი და სხვა რესურსები. ამიტომ, ჩვენ, რა თქმა უნდა, შეიძლება განვიცადოთ გარკვეული ზეგავლენა რუსეთის მხრივ. იავლინსკი არის საბაზრო იმპერიალისტური სისტემის ავტორი. ამჯერად იმპერიალიზმი ხორციელდება წმინდა ეკონომიკური მეთოდებით. იავლინსკის პროგრამა იმიტომ აიღეს, რომ იგი ყველაზე მეტად იმპერიალისტურია. აქ არის გამოხატული ველიკოდერჟავული იმპერიალიზმი, ზუსტად ისეთი, როგორსაც ახორციელებდა რუსეთის იმპერია რევოლუციის წინ და რა მოჰყვა ამას? [illegible] რუსეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება. მაგრამ ეს ჯერ კიდევ წინ აქვთ რუსებს. ხოლო რაც შეეხება გზების ჩაკეტვას და აქ სხვადასხვა სურსათისა და ნედლეულის გატანა-შემოტანის შეფერხებას, მარტო გზების გადაკეტვით კი არა, გარკვეული სხვა ღონისძიებებითაც ცდილობენ, რომ არ მივიღოთ ჩვენი გადარიცხვები, გააუქმონ ჩვენს მიერ დადებული ხელშეკრულებები. მაგრამ გარკვეული ბრძოლის საშუალებებიც გვაქვს. ჩვენს ხელთაა რესურსი, რომლითაც ისინი არიან დაინტერესებული, და გვაქვს საშუალება უშუალოდ მივაწოდოთ საწარმოებს და იქიდანაც წამოვიღოთ ჩვენთვის საჭირო ნედლეული. მართალია, იავლინსკის და მის მომხრეებს ეს არ მოსწონთ, მაგრამ რიგი მსხვილ საწარმოთა ხელმძღვანელები კეთილად არიან განწყობილი ჩვენდამი. ასე რომ, გვაქვს თამაშის გარკვეული შესაძლებლობა. სულ ახლახანს ჩეჩნებმა და ინგუშებმა ჩრდილოეთ კავკასიაში რკინიგზა გადაკეტეს და ფაქტობრივად რუსეთს მოსწყდა ამიერკავკასია. აზერბაიჯანიც და სომხეთიც იძულებული არიან საქართველოს გავლით გაიტანონ ან შემოიტანონ ნედლეული თუ სხვა მასალები. ასე რომ, ოპტიმიზმის საფუძველი გვაქვს.

— ასეთ ცვალებად პირობებში, როგორ ფიქრობთ, იქნებ ამ შემთხვევაში, მკაცრად ცენტრალიზაცია მიუღებელი იყოს და არასახელმწიფო სტრუქტურებს მივცეთ მოქმედების საშუალება?

— მინისტრთა კაბინეტში შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც მოწოდებულია დაეხმაროს კერძო სექტორს რესურსების შემოტანაში და სხვა ამგვარ ოპერაციებში. კომისია შექმნილია ძალიან მაღალ დონეზე. ეს არის ოპერატიული სამუშაო ორგანო, რომელსაც დავალებული აქვს მიიღოს ყველა წინადადება სტრატეგიული რესურსების შემოტანაზე და ამ საქმიან წინადადებას მიეცემა მწვანე გზა. კომისია ვალდებულია სამი დღის ვადაში შეისწავლოს და უპასუხოს როგორც იდეის წარმომდგენს, ასევე მინისტრთა კაბინეტს და საჭიროების შემთხვევაში მთელი ის ძალა, რაც სახელმწიფოს აქვს, დაძრული იქნება ამ წინადადებების სწრაფი და ეფექტიანი რეალიზაციისაკენ. ეს არის განსაკუთრებული ზომა პრივატული სექტორის წახალისებისათვის. კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს, რომ ამ სიტუაციაში ეს არის საგანგებო ორგანო, რომელიც ძალზე ეფექტიანად დაეხმარება კერძო სექტორს, რათა დაძლიოს ბიუროკრატიული წინააღმდეგობები. მეტიც, საჭიროების შემთხვევაში მივეხმარებით ცენტრალიზებულად სესხით, ტრანსპორტით და სხვადასხვა სახით, თუ ისინი მოახერხებენ ზემოთ ნახსენები სტრატეგიული რესურსების რესპუბლიკაში შემოტანას.

— ბატონო ბესარიონ, რა ღონისძიებებს იღებს რესპუბლიკის მთავრობა ქაღალდის დეფიციტის აღმოსაფხვრელად?

— ქაღალდის წარმოება, მოგეხსენებათ დაფუძნებულია ხე-ტყეზე. რესპუბლიკაში ხე-ტყე დეფიციტური პროდუქციაა. ასე რომ, ვფიქრობ, ჩვენ მომავალშიც მოგვიწევს ქაღალდის იმპორტი.

— იქნებ ადგილობრივი რესურსები გამოგვეყენებინა?

— ადგილობრივი რესურსები რესპუბლიკას უზრუნველყოფს 25-30 პროცენტით, დანარჩენის შემოტანა მოგვიხდება საზღვარგარეთიდან. მეორე მხრივ, უნდა მივეჩვიოთ, ქაღალდის უფრო ეკონომიურად ხარჯვას, ალბათ მოგვიხდება მეორადი დამუშავების ქაღალდის გამოყენებაც. უცხოეთში ამის გამოცდილება უკვე არსებობს. პრობლემა თავისთავად საზრუნავია, ხოლო ვინ უნდა იზრუნოს, ეს ცალკე საკითხავია. სახელმწიფომ თუ კერძო სექტორმა? ვფიქრობ, ორივემ.

— როგორია პურით მომარაგების საკითხი? ხომ არ იქნება რაიმე შეფერხებები ამ საქმეში?

— პურის ფასი მთელ საბჭოთა კავშირში გაიზარდა. ჩვენთან იგი უცვლელი დარჩა. ეს, რა თქმა უნდა, გარკვეულ პრობლემებს ქმნის. გაიზარდა პურის არადანიშნულებისამებრ გამოყენების შემთხვევები: პურს იყენებენ პირუტყვის გამოსაკვებად. შეიძლებოდა დაგვესახა მთელი რიგი ღონისძიებები, პირველ რიგში პურის ეკონომიის თვალსაზრისით. ყველაზე მარტივი იქნებოდა პურის ფასების მომატება, მაგრამ ამ ეტაპზე ეს ხალხის გარკვეულ უკმაყოფილებას გამოიწვევს. თუმცა უნდა ითქვას, რომ თუ ჩვენ ხალხს კარგად ავუხსნით, შეიძლება ამაზე იგი ნამდვილად დაგვეთანხმოს. მეორე გზაა შემოვიღოთ ტალონები, რომ არ მოგვიხდეს ამ სანქციების გატარება, მოსახლეობამ უნდა გაიგოს და იმაზე მეტი პური არ იყიდოს, რომ მერე დაუძველდეს და გადაყაროს. ამის თქმის საფუძველს ის გვაძლევს, რომ პური მარტო თბილისში გასულ შესაბამის პერიოდთან შედარებით, გაცილებით მეტი ცხვება, მაგრამ მაინც იგრძნობა მისი დეფიციტი. არის კიდევ ერთი პრობლემა — ხარისხის გაუმჯობესება. რაც შეეხება პურის მარაგს — საკმარისი გვაქვს, მოწოდებებიც მეტნაკლებად გარანტირებულია. ასე, რომ პურის საკითხში რაიმე არსებითი საგანგაშო მდგომარეობა არ არის. მინდა ჩვენი საზოგადოება დავამშვიდო და ამავე, დროს მოვუწოდო — პური გვექნება, მაგრამ საჭიროა მისი მომჭირნეობით მოხმარება.

— ბატონო ბესარიონ, გარდა პურისა, მოსახლეობაში შეშფოთებას იწვევს ფული, ელექტროენერგია...

— ვფიქრობ, ფულის საკითხი არ უნდა იწვევდეს მოსახლეობის შეშფოთებას. მე თვითონაც მაქვს შემნახველ სალაროში გარკვეული თანხა და სულაც არ ვაპირებ მის ანგარიშიდან მოხსნას. სულ მალე, რამდენიმე თვეში გვექნება ჩვენი ქართული ეროვნული ფული და პირველ რიგში წარვმართავთ საბანკო ანაბრების უზრუნველყოფისათვის. თუ კაცს ფული შემნახველ სალაროში აქვს შენახული, მას პირველ რიგში გავუნაღდებთ, ხოლო ვისაც შენახული აქვს სახლში მას, ასე ვთქვათ, მეორე რიგში. ჩვენ ჩვენი საბანკო სისტემის განმტკიცების ისეთი საშუალება გვაქვს, როგორც პრივატიზაცია. ქართული ფული ძალიან მნიშვნელოვან ეკონომიკურ ფუნქციას შეასრულებს.

ასეთივე მდგომარეობაა ენერგიის ხარჯვაშიც. ზამთრისათვის უკვე დავგეგმეთ გარკვეული სანქციები. კერძოდ, სამუშაო საათებს გადავიტანთ ერთი საათით წინ, რომ დღის პირველი ნახევარიც და მეორე ნახევარიც სინათლეში იყოს. აგრეთვე, დაწესებულებებმა უნდა იმუშაონ შესვენების გარეშე. მაშინ ელექტროენერგიის გამოყენება კიდევ უფრო შემცირდება. და კიდევ ერთიც, ალბათ მოგვიწევს ტელეგადაცემების შეწყვეტა თორმეტი საათისათვის. ვფიქრობთ, მოსახლეობა გაგვიგებს და მხარში ამოგვიდგება.

— ბატონო ბესარიონ, ხომ არ აჯობებდა გაეუთავისუფლებინა ფასები და სანაცვლოდ შემოგვეღო კომპენსაცია საარსებო მოთხოვნილების პროდუქტებზე?

— არსებობს მთელი რიგი ძალიან ეფექტიანად მომქმედი ეკონომიკური ხერხები და მეთოდები, რომლებიც აპრობირებულია მრავალ ქვეყანაში. ეს მეთოდები ჩვენ ვიცით. მაგალითად, თუ ჩვენ პურის ფასს გავზრდით 2-3-ჯერ, რა თქმა უნდა, პურის მოხმარება სწორედ იმ მინიმუმში ჩაჯდებოდა, რომელიც საჭიროა. იგივე ელექტროენერგიის გადასახადი რომ მოგვემატებინა, მაშინ მისი მომჭირნეობა გაიზრდებოდა. საერთოდ, საბაზრო ეკონომიკა დაფუძნებულია მომჭირნეობაზე. სოციალისტური ეკონომიკის ნგრევის საფუძველი გახდა უყაირათობა. აქ ისმის ორი პრობლემა: თუ პრაქტიკულად მოვუდგებით საკითხს, მაშინ ეს გამართლებული იქნება, მაგრამ მზად არის კი ჩვენი საზოგადოება ასეთი გარდაქმნებისათვის? მე მხედველობაში მაქვს მათი მორალურად და ფსიქოლოგიურად მზადყოფნა. ხელისუფლება ერიდება გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც მოსახლეობის მკვეთრ უკმაყოფილებას გამოიწვევს. ამიტომ, ხშირად, ჩვენ ასეთი პოლიტიკის გამო წაგებულები ვართ. შეგვეძლო გაგვეზარდა ფასები, მაგრამ გვეშინია ჩვენი მოქმედება არ ჩათვალონ ანტიხალხურ მოქმედებად. ამასთან ოპოზიცია ყოველ ჩვენს მოქმედებას თვლის ანტიხალხურ მოქმედებად და ხელს გვიშლის გავატაროთ ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკა. მაგალითად, ჩვენ გადავწყვიტეთ გავხსნათ ფუფუნების საგნების სახელმწიფო კომერციული მაღაზიები. ცნობილია, რომ საკმაოდ ბევრი ძვირფასი საქონელი შემოდის რესპუბლიკაში, რომელიც ვაჭრობაში გამოფენილი მაფიის საზრდოა. ამიერიდან ეს ფუფუნების საგნები გაიყიდება კომერციულ ფასად სახელმწიფო მაღაზიებში. განსხვავებას მოვახმართ სოციალურ მიზნებს. რამდენიც არ უნდა გვკიცხოს ოპოზიციამ თუ პოზიციამ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა აუცილებელია, გამორიცხული არ არის კომპენსაციაც.

— რედაქციაში ხშირად რეკავენ და კითხულობენ: რამდენად მართალია ის, რომ დეკემბრიდან იქნება ხელფასების მომატება და იანვრიდან ფასების ინდექსაცია?

— დღეს საქართველოში ჭორებისათვის და ხმებისათვის კარგი პერიოდია დაწყებული იმით, რამდენი კაცი მოკლეს, დამთავრებული იმით, რომ პური ან ფული აღარ იქნება. იმისათვის, რომ მოხდეს ხელფასების მომატება, საჭიროა დიდი ფულადი მასა. მაგალითად, ჩვენ რომ გაგვეზარდა ხელფასი და ფასი ორჯერ, პროდუქცია ჩვენს რესპუბლიკაში შემოვიდოდა ძალიან დიდი რაოდენობით. რა თქმა უნდა იავლინსკიმ და მისმა ხალხმა იციან ეს და უკვე ერთი წელიწადია მოგვისპეს ამის საშუალება. იგრძნეს რა, რომ ჩვენ შეგვიძლია ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, მოგვიჭრეს ყველა გზა. ჯერჯერობით ჩვენთან ამ მხრივ არაფერი შეიცვლება.

— როგორი გადასახადებია დაწესებული პრივატიზებულ საწარმოებზე? მიეცემა თუ არა მათ სტიმული განვითარებისათვის?

— საერთოდ, ყველა სახელმწიფოს ბიუჯეტი შედგება გადასახადებისაგან. ჩვენი ბიუჯეტიც მომავალში ასევე გადასახადებით შეივსება. მართალია, ახლა ეს ბიუჯეტი მკვეთრად დეფიციტურია. და ეს მომავალ წლებშიც გაგრძელდება. ეს ბუნებრივი მოვლენაა, სახელმწიფო ვალი არის ერთ-ერთი ფუნდამენტური ცნება ეკონომიკაში, მაგრამ ამ დეფიციტის დასაფარი ერთ-ერთი საშუალება სწორედ პრივატიზაციაა.

— ბატონო ბესარიონ, რამდენად აქტიურად, რამდენად ოპტიმალურად იყენებს მთავრობა იმ ეკონომისტებისა და სპეციალისტების შესაძლებლობებს, რომლებიც საპარლამენტო ოპოზიციას წარმოადგენენ?

— საპარლამენტო ოპოზიციაში განათლებით ეკონომისტი არის ერთი დეპუტატი, ხოლო ჩვენს ეკონომიკურ კონფერენციაში მონაწილეობდა არანაკლებ 400-500 კაცი. სხვათა შორის, საპარლამენტო ოპოზიციის იმ ერთადერთ ეკონომისტს ტელევიზიითაც და პრესითაც არაერთხელ მივმართე წარმოადგინოს თავისი წინადადებები, მოსაზრებები, რაც აქამდე არ გაკეთებულა და ვფიქრობ არც გაკეთდება.

სხვა გაზეთებიდან

თუ ქართველები ერთობით ვიქნებით!!!

როგორც ფართო საზოგადოებრიობისათვის ცნობილია, ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოებამ, რომელიც მონაწილეობას იღებდა საქართველოს პრეზიდენტის და ეროვნული მთავრობის საწინააღმდეგო ამბოხებაში, პირველმა დასტოვა ოპოზიციონერთა ბანაკი და საზოგადოებაში არსებული იარაღი ჩააბარა კანონიერ ხელისუფლებას.

ქართველი საზოგადოებრიობისათვის ალბათ მეტად საინტერესო იქნება, თუ რა მიზეზებმა განაპირობეს მათი ასეთი მოქმედება.

ამ მიზეზთა გამოსარკვევად ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ეწვია ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოების ხელმძღვანელს, სოსო ჯაჯანიძეს და ესაუბრა მას.

ბ-ნო სოსო, თქვენი ორგანიზაციის განდგომისა და გაზეთ „საქართველოში" პირადად თქვენს მიერ ბ-ნ ზ. გამსახურდიას მაკომპრომეტირებელი წერილის „სიმართლე საქართველოს პრეზიდენტზე" გამოქვეყნების შემდეგ, თქვენთვის, ალბათ, ძნელი იქნება ქართველი საზოგადოებრიობის წინაშე ახალ ამპლუაში წარდგომა?

სოსო ჯაჯანიძე: რა თქმა უნდა, მაგრამ კაცს თავისი შეცდომების აღიარებისათვისაც უნდა ეყოს ვაჟკაცობა და ამ შეცდომების გამოსწორებაზეც იზრუნოს ყოველნაირად. ამიტომ, რაც არ უნდა ძნელი იყოს ეს ჩემთვის, მაინც გავცემ თქვენს შეკითხვებს პასუხს.

როგორც ცნობილია, თქვენი ორგანიზაცია ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი იყო ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიასი და საქართველოს ეროვნული მთავრობისა. რა მიზეზებმა გამოიწვიეს თქვენი პოზიციის უცაბედი რადიკალური ცვლილება, რის შედეგადაც ოპოზიციონერთა რიგებში აღმოჩნდით?

ს. ჯ. საგულისხმოა აღვნიშნო, რომ ჩვენს საზოგადოებას საქართველოს მთავრობის მიმართ არც ისე უცებ შეუცვლია პოზიცია, როგორც ეს უცხო თვალისთვის გამოჩნდა, სინამდვილეში მოვლენები შემდეგნაირად ვითარდებოდა:

ცალკეულ პიროვნებათა მხრიდან, გაითვალისწინეს რა ჩვენი საზოგადოების შეუბღალავი სახელი, მის წევრებზე და პირადად ჩემზე, უკვე კარგახანია მიმდინარეობდა შემუშავებული ფსიქოლოგიური ზემოქმედება, რათა ჩვენი შეიარაღებული ძალებით ჩავეთრიეთ მოსკოვის მიერ ინსპირირებულ, ასე ვუწოდოთ — ქართულ ამბოხებაში, რასაც მათ გარკვეულწილად მიაღწიეს კიდეც.

იცოდნენ რა ჩვენი სიმპატიები ბ-ნ ზ. გამსახურდიას მიმართ, გამოიყენეს უვერაგესი ხერხი მისი დისკრედიტაციისა ჩვენს თვალში. ეს არის უძველესი პოლიტიკანური მეთოდი, სახელმოხვეჭილი პიროვნების (უმთავრესად პოლიტიკური მოღვაწის) სახელის გატეხვისა მისი უახლოესი მეგობრების და თანამებრძოლების ძაგებით. გაითვალისწინეს რა, აგრეთვე ქართველი კაცის პატრიარქალური ამპარტავანი ბუნება, ჩვენთან საუბრების დროს, განსაკუთრებით მძაფრი იერიშები მიჰქონდათ ბ-ნ ზვიადის მეუღლეზე, მის ერთგულეს და უტყუარ თანამებრძოლზე, ქ-ნ მანანა არჩვაძეზე. ათასნაირ ჭორს თხზავდნენ მის შესახებ და დღენიადაგ იმას გვიმტკიცებდნენ, რომ ქ-ნი მანანა საქართველოს სახელმწიფო საქმეებში უხეში ჩარევით უცილოდ დაღუპავსო საქართველოს.

ამ ჭორებს გავრცელებით, ისინი არა მარტო ბატონ ზვიადის სახელის გატეხვას ცდილობდნენ, არამედ მთლიანად იმ მმართველი ბლოკის კომპრომეტაციასაც, რომელსაც სათავეში უდგას ბ-ნი ზ. გამსახურდია.

არ იქნება ურიგო ამ ვაჟბატონებს შევახსენოთ, რომ ქ-ნი მანანა არჩვაძე უკვე ორი ათეული წელია, მყარ ბურჯად უდგას მხარში ჩვენს პრეზიდენტს (ყოფილ პოლიტპატიმარსა და დევნილს) და უდრტვინველად იზიარებს მის ყოველ ჭირ-ვარამს. საინტერესოა, სად ბრძანდებოდნენ მაშინ მისი დღევანდელი გამკილავები, როდესაც ბ-ნ ზვიადს დევნიდნენ და ავიწროვებდნენ ეროვნული მოღვაწეობის გამო? ან მაშინ, როდესაც 1976 წელს ასამართლებდნენ ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის და როდესაც სულნათელ მერაბ კოსტავასთან ერთად 1978 წელს გადასახლებაში გააგზავნეს? იქნებ ეს პიროვნებები ამოუდგნენ გვერდით და შეეშველნენ ბ-ნ ზვიადს, მაშინ ძალზე მძიმე ეროვნული ტვირთის ზიდვაში და არა ქ-ნი მანანა არჩვაძე. ასე რომ, ეს პიროვნებები ალბათ, უნდა ხვდებოდნენ თუ მშრალი იურიდიული არა, მორალური უფლება მართლაც რომ აქვს ამ ქალბატონს, როგორც ჩვენი ქვეყნის მეთაურის გამოცდილ და უმტყუნო თანამებრძოლს, თავისი გარკვეული წვლილი შეიტანოს საქართველოსთვის საკეთილდღეო მოღვაწეობაში.

იმავე პიროვნებებმა „მშვენივრად" გამოიყენეს ჩვენი უკმაყოფილება მთავრობის საკადრო პოლიტიკის გამო (კადრების შერჩევაში შეცდომები თავად ბ-ნმა პრეზიდენტმაც აღნიშნა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში) და ჩვენთან პირად საუბრებში თანდათანობით ავითარებდნენ აზრს, რომ ზ. გამსახურდია აპირებს საქართველოში კომუნისტური წეს-წყობილების შენარჩუნებას, ქვეყნის შიგნით ტირანული რეჟიმის დამყარებას და გარესამყაროსგან ჩვენი ქვეყნის იზოლაციას; რომ „გამსახურდიას საქართველოს" არც ერთი უცხო ქვეყანა არ სცნობს და მის ხელში ქართველი ერი საბოლოოდ დაიღუპება.

ამ პიროვნებების მიმართ ჩვენი მიმნდობლობით ვირწმუნეთ ამ ჭორების სინამდვილე და მხარი დავუჭირეთ ე. წ. ოპოზიციის მოთხოვნას ბ-ნ ზ. გამსახურდიას პრეზიდენტობის პოსტიდან გადადგომის შესახებ.

ყოველივე ზემოთთქმულიდან დაკავშირებით მინდა განვაცხადო, რომ სრულიად საქართველოს ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოების ეროვნული მთავრობისაგან განდგომის პერიოდს ჩვენ ვთვლით ჩვენი ორგანიზაციის ისტორიის სამარცხვინო ფურცლად, რომლის ჩაწერაშიც, როგორც ხელმძღვანელს, მე მიმიძღვის ლომის წილი; ხოლო 20 სექტემბრის გაზეთ „საქართველოში" ბ-ნ ზ. გამსახურდიას და ქ-ნ მანანა არჩვაძის მაკომპრომეტირებელი წერილის „სიმართლე საქართველოს პრეზიდენტზე", გამოქვეყნების გამო თავს მოვალედ ვრაცხ შენდობა ვთხოვო როგორც ამ წერილის ადრესატებს, ასევე ქართველ საზოგადოებრიობასაც, რადგან ეს სტატია დროებითი აფექტის დროს არის დაწერილი და უმთავრესად იმ პროვოკატორთა მიერ გავრცელებულ ჭორებს ეყრდნობა, რომლებმაც გარკვეულწილად საქართველოს დიდ ღალატში დაგვედებინეს წილი.

თქვენი ორგანიზაცია არც თუ ისე მცირერიცხოვანია. ნუთუ მთელს საზოგადოებას ერთი აზრი ჰქონდა ბ-ნ ზ. გამსახურდიას პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომის თაობაზე?

ს. ჯ.: გარკვეულ აზრთა სხვაობას ჰქონდა ადგილი. პირველი უთანხმოება (და არა განხეთქილება), ჩემსა და საზოგადოების მთავარი კომიტეტის წევრს და ჩემს უახლოეს მეგობარს, ბ-ნ ზვიად ხმალაძეს შორის მაშინ მოხდა, როდესაც ბ-ნ თენგიზ კიტოვანის აწ კანონგარეშე მყოფმა შეიარაღებულმა ფორმირებამ ა. წ. 23 სექტემბერს ტელევიზიის შენობა აიღო. იმავე დღეს, საზოგადოების მთ. კომიტეტის კრებაზე, გამოვედი წინადადებით, ჩვენი შეიარაღებული ძალებით შევერთებოდით ბ-ნ თ. კიტოვანის რაზმს, იმ მოსაზრებით, რომ მოვალენი ვიყავით დაგვეცვა ქართველი ხალხი პრეზიდენტის აგრესიისაგან.

ბ-ნი ზ. ხმალაძე ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. მან ასეთი მოქმედება ჩვენი საზოგადოების უზენაესი იდეალებიდან გადახვევად მიიჩნია და აღნიშნა, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელის მატარებელ ორგანიზაციას არ ჰქონდა ზნეობრივი უფლება იარაღით ხელში ჩარეულიყო ქართველებს შორის ატეხილ ნებისმიერ კონფლიქტში. ამავე მიზეზით, მან ეჭვი შეიტანა ამბოხებულთა სამართლიანობასა და ჩვენი პოზიციის სისწორეში, რის შესახებაც მოახსენა მთავარი კომიტეტის წევრებს.

ჩემი წინადადება ხმათა უმრავლესობით გავიდა და მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი არ ეთანხმებოდა მიღებულ გადაწყვეტილებას, არ დაუშვეს ორგანიზაციული განხეთქილება, დაემორჩილნენ უმრავლესობის ნებას და დადგნენ ჩვენს გვერდით.

ოპოზიციაში თქვენი გადასვლა ასე თუ ისე გასაგებია. მეტად საინტერესოა, რამ გამოიწვია თქვენი საზოგადოების მიერ ოპოზიციონერთა ასევე უცაბედი მიტოვება?

ს. ჯ.: ძირითადი მოტივი, რისთვისაც შევუერთდით ამბოხებულებს — დაგვეცვა ქართველი ხალხი პრეზიდენტის აგრესიისაგან — აღმოჩნდა უსაფუძვლო და ფიქციური. საპირისპიროს კი ვხედავდით: მეამბოხეთა შორის მძაფრდებოდა აგრესიული განწყობილება; ბ-ნ ზ. გამსახურდიას მხარდამჭერი ქართველობა აშკარად ინათლებოდა — ქართველი ერის პარაზიტულ ნაწილად, რომელიც ფიზიკურად უნდა განადგურებულიყო; გახშირდა მოწოდებები მთავრობის სახლის შეიარაღებული ძალით აღების შესახებ, რაც ქართველთა შორის უამრავ მსხვერპლს გამოიწვევდა. ყველაზე მეტად იმან შეგვაძრწუნა, რომ უსაზომოდ დაიღვარა ქართული სისხლი — ქართველისვე ხელით. ყოველივე ამას ჩვენ ვერაფრით ვერ დავეთანხმებოდით.

გარდა ამისა, არაერთხელ გამოაშკარავდა, რომ მეამბოხენი საზოგადოებრიობას აწვდიდნენ გაყალბებულ ინფორმაციას მიმდინარე მოვლენების შესახებ; სტეხდნენ ცრუგანგაშს და საქვეყნოდ აცხადებდნენ არარსებული მსხვერპლის შესახებ, რომელიც შეეწირა ვითომდაც ზ. გამსახურდიას მიერ განხორციელებულ ძალადობას.

ყოველივე ამან ჩვენი სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან თუ აცხადებ, რომ უსამართლობის წინააღმდეგ იბრძვი, პირველ ყოვლისა უმართებულო ხერხებით არ უნდა იბრძოლო მას. — ეს არის უმთავრესი პრინციპი, რამეთუ ბინძური ხელებით წმინდა საქმე ჯერ არსად არ გაკეთებულა.

დამაფიქრებელი იყო ის გარემოებაც, რომ ოპოზიციაში გაერთიანდნენ პოლარულად განსხვავებული აზროვნების მქონე ორგანიზაციები და კერძო პიროვნებები, რომლებიც ადრე შეურიგებლად გმობდნენ ერთმანეთს: ე. წ. შეურიგებელი ოპოზიციით დაწყებული,— ყოფილი კომუნისტური პარტიის ყოფილი ლიდერებით და ფუნქციონერებით დამთავრებული. მათ შორის, აქვე იყრიდნენ თავს კომუნისტური რეჟიმის მიერ ხელოვნურად პრივილეგირებული კასტის, ე. წ. ინტელიგენციის წარმომადგენლები და ე. წ. საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები. დღეს ისინი სახალხო ტრიბუნიდან უტიფრად ამტკიცებენ, რომ არავითარი კავშირი არ ჰქონიათ ამბოხებულებთან.

ჩვენი საუბრის დასაწყისში, საქართველოში მიმდინარე პროცესები მოსკოვის მიერ ინსპირირებულ ამბოხებად შეაფასეთ. აქვე ილაპარაკეთ ამბოხების მოთავეების შესახებ, მაგრამ არ დაგისახელებიათ ისინი პიროვნულად.

ხომ არ განმარტავდით, ვის გულისხმობთ ამბოხების მოთავეებში და თქვენი აზრით, რა მიზნით განხორციელდა საქართველოში ეს ამბოხება?

ს. ჯ.: ჩემი ღრმა რწმენით, ამ ამბოხების მთავარი მოთავე, მისი იდეური სულისჩამდგმელი და უშუალო ხელმძღვანელი მოსკოვიდან არის საქართველოს კომპარტიის ყოფილი პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე.

რამ მიმიყვანა ამ დასკვნამდე? მას შემდეგ, რაც პრეზიდენტის გამაკრიტიკებელი წერილი გამოვაქვეყნე და თავადაც იარაღით ხელში შევუერთდი ამბოხებულებს, ამბოხების აქტიურმა მოთავეებმა: თ. სიგუამ და გ. ხოშტარიამ, საბოლოოდ „დახელთავებულად" ჩამთვალეს და აღარ მოერიდნენ აშკარად გაემხილათ თავიანთი ჭეშმარიტი ზრახვები, რომლის გამხელასაც ადრე უფრთხილდებოდნენ.

განსაკუთრებით იკვეთებოდა აზრი, ე. შევარდნაძის, როგორც უძლიერესი პოლიტიკოსის, უაღრესად პროგრესული და დემოკრატი ადამიანის შესახებ, რომელიც მთელს მსოფლიოში განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობს და რომელსაც თურმე ერთადერთს ძალუძს საქართველოს გადარჩენა.

ერთ საინტერესო შემთხვევას მოგიყვებით, რომელსაც თავის დროზე სათანადო ყურადღება არ მივაქციე და რომელიც მაფიქრებინებს, რომ ე. შევარდნაძე ცალცალკე „მუშაობდა" ბ-ნ ზ. გამსახურდიას ყოფილი თანამებრძოლების გადასაბირებლად:

ივნისის თვეში, მოსკოვიდან დაბრუნებულმა გ. ხოშტარიამ, ერთ-ერთ ნადიმზე მე და ჩემს მეგობრებს (გ. ხოშტარიას დაცვის წევრებს) გაგვიცხადა, რომ იგი პირადად შეხვდა ე. შევარდნაძეს, გულთბილად ესაუბრა მას, ძალიან მოეწონა მისი პიროვნება და სავსებით ეთანხმება მის მოსაზრებებს საქართველოს მომავალი განვითარების და ქართველი ერის ბედ-იღბლის შესახებ; რომ თურმე ე. შევარდნაძეს გ. ხოშტარია და თ. სიგუა მიაჩნია ევროპული სტილის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებად, ერთ-ერთ წამყვან პოლიტიკოსებად და დემოკრატიული აზროვნების ბურჯებად.

შევარდნაძემ ისიც კარგად უწყოდა, რომ საბოლოოდ სახელგატეხილ კომუნისტებს ვერ ჩაუყენებდა ქართულ ამბოხებას სათავეში, ამიტომ ამ ამბოხების ხილულ მოთავეებად გამოიყენა ბ-ნ ზ. გამსახურდიას ყოფილი თანამებრძოლები: თ. სიგუა, გ. ხოშტარია, თ. პაატაშვილი და სხვები, რომლებსაც ახლაც ინტენსიური ურთიერთობა აქვთ მასთან. ამ პიროვნებათა სწრაფ-მალი მიმოსვლები თბილისსა და მოსკოვს შორის ძალზედ ჰგავს საქართველოს ისტორიის იმ შავ-ბნელ პერიოდს, როდესაც ჩვენი ვაი-მამულიშვილები ყაენის, შაჰის და სულთანის კარზე ეძებდნენ ქართველთა სამართალ-გამრიგეს; ხოლო ფარული მოთავენი და მხარდამჭერები ამ ამბოხებისა იყვნენ ე. წ. საქართველოს კომუნისტური პარტიის ლიდერები და ყოფილი ფუნქციონერები, რომლებმაც მოვლენების განვითარების კვალად აშკარად გამოავლინეს თა-

(დასასრული მე-3 გვ.)

რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში

ამერიკელი სტუმრები პარლამენტში

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანი კონტაქტის დასამყარებლად გვეწვივნენ ამერიკელები. სტუმრებს — ჰიუსტონის უნივერსიტეტის პროფესორს, ჰიდროლოგს ქალბატონ ირენ ჩექს, ენერგეტიკოს ბატონ ივან ჩექსა და ბიზნესმენს ბატონ ვლადლავ როზენბლიტს მეგზურობას უწევდა ჰიუსტონ-თბილისის ერთობლივი ასოციაციის „ასას" პრეზიდენტი ბატონი ამირან არჩვაძე.

ამერიკელ სტუმრებს საქართველოს პოლიტიკური ვითარება მოკლედ გააცნო უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ირაკლი ჩხეიძემ.

გარემოს დაცვის საკითხებზე წამოჭრილ ყველა შეკითხვას ამომწურავი პასუხი გასცა ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ბატონმა ვასილ მიქაშავიძემ.

პირველსავე შეხვედრაზე, რომელიც ფაქტობრივად ურთიერთგაცნობასა და წარდგენას ისახავდა მიზნად, მიღწეულ იქნა სერიოზული შეთანხმება. — ქართველი სპეციალისტების სტაჟირება ჰიუსტონის უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრში ეკოლოგიის ცალკეული მომსახურების მიხედვით (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ ღონისძიებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენთვის სწორედ მიმდინარე ეტაპზე, როცა რესპუბლიკაში საფუძველი ეყრება ბუნებათსარგებლობის ახლებურ სტრატეგიას — ფასიან ბუნებათსარგებლობას. ამერიკის შეერთებულ შტატებში, დასავლეთის სხვა განვითარებულ ქვეყნებში გარემოს დაცვისა და რაციონალური ბუნებათსარგებლობის მექანიზმი მრავალი წელია ეფექტიანად მოქმედებს და ჰიუსტონის უნივერსიტეტის მეშვეობით შესაძლებელი იქნება უამრავი საინტერესო ინფორმაციის მოპოვება ამ საკითხებზე).

— გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის საკითხებზე ჰიუსტონის უნივერსიტეტსა და ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტროს შორის გამოცდილების რეგულარული გაზიარების სისტემის დანერგვა, შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტთა და თანამშრომელთა ჯგუფების გაცვლა წინასწარ შედგენილი პროგრამების შესაბამისად. ამ გზით მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა დამყარდება ამერიკელ კოლეგებთან, რაც უდავოდ დაეხმარება ჩვენს სპეციალისტებს მომავალ მუშაობაში.

აჭარის (ან სხვა ეკოლოგიურად უფრო საინტერესო) რეგიონში ეკოლოგიური მონიტორინგის პოლიგონის ჩამოყალიბება და ამოქმედება. გარემოს მდგომარეობაზე უწყვეტი დაკვირვებებისა და მისი გაუმჯობესებისათვის გადაწყვეტილებათა მომზადების სისტემის ამოქმედების მიზნით ერთობლივი ცენტრის შექმნა (აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება გარემოს დაცვის ეროვნული კონცეფციის რეალიზაციის საქმეში და მოამზადებს რეალურ წინაპირობას შავი ზღვის ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად).

ამერიკელი სტუმრები დაინტერესდნენ საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეებით, განსაკუთრებით მისი წყლის რესურსებით.

შეხვედრამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

შეხვედრის დასასრულს, ქალბატონ ირენს ვთხოვეთ ორიოდე სიტყვით გაეზიარებინა საქართველოსთან შეხვედრის პირველი შთაბეჭდილებანი. „მართალია, ძლივს მოვაღწიეთ თქვენამდე და მანქანებით ჩახერგილი ქუჩების ნახვამაც გაგვაოცა, მაგრამ მაინც გამოგიტყდებით: მშვენიერია საქართველო! სიამოვნებით ჩამოვიდოდი აქ საცხოვრებლად, ხოლო ის პროცესები, რაც ახლა ხდება თქვენთან, ალბათ, ბუნებრივიცაა, სასიხარულოა, რომ ხალხი ასე თამამად გამოდის და ამბობს თავის სათქმელს, რომ იცავს თავის პრეზიდენტს. მომავალ შეხვედრამდე. წარმატებებს ვუსურვებ თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველ ხალხს, საქართველოს".

დასასრულ, არ შეიძლება არ ითქვას, რომ ინფორმაციულ ბლოკადაში მყოფი საქართველოსათვის ყოველ ასეთ შეხვედრას, ურთიერთობას ამერიკის თუ სხვა ქვეყნების საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენთვის, რადგანაც, ჯერ ერთი, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი ჯობია, მეორეც, ცენტრის მიერ ჩვენს რესპუბლიკაზე ასე უხვად გაცემულ ცრუ ინფორმაციებს სწორედ სტუმრების მიერ საკუთარი თვალით ნანახი, საკუთარი ყურით გაგონილი ინფორმაცია თუ გადაწონის.

მედეა კეიდია,
უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის მუდმივი კომისიის უფროსი კონსულტანტი.

თავისუფლება და დამოუკიდებლობა — უპირველესი მიზანი

სრულიად საქართველოს ჰელსინკის კავშირი — ეროვნული აღორძინების მეორე ყრილობა

დღეს ჰელსინკის კავშირის წევრობა საპატიოც არის და საამაყოც. რომელ ერის შვილს არ უნდა იბრძოლოს თავისი სამშობლოს პოლიტიკური და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, სალი დამოუკიდებლობისათვის, საკუთარი ბედის გამგებლობისათვის, ადამიანის უფლებათა დაცვისათვის.

სწორედ ამ ამოცანებს ემსახურება საქართველოს ჰელსინკის კავშირი — ეროვნული აღორძინება — თანამოაზრეთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება.

მაგრამ სულ ორიოდე წლის წინათ ჰელსინკის კავშირის წევრობაც კი თვითმკვლელობის ტოლფასი იყო, უმძიმესი გზა გაიარა საქართველოს ჰელსინკის კავშირმა — რეპრესიები, ხშირად საზოგადოების მტრული დამოკიდებულებაც კი. არაფერს არ შეუშინდნენ სულით სპეტაკი, ნებისყოფით ურდრეკი კავშირის წევრები. მათ გზას უნათებდა სწრაფვა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ. მათმა შეუპოვარმა ბრძოლამ გაამარჯვებინა საქართველოში დემოკრატიას. და განა მარტო საქართველოში. მან გარკვეული როლი შეასრულა მსოფლიო პროცესების შემდგომ განვითარებაში, კერძოდ აღმოსავლეთ ევროპის ხალხების განთავისუფლებაში.

უმნიშვნელოვანესი ამოცანები დგას დღეს ჰელსინკის კავშირის წინაშე.

კავშირის მიერ განვლილი გზისა და ახალი ამოცანების შესახებ პოლიტიკური მოხსენება გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა, სრულიად საქართველოს ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარემ ბატონმა ზვიად გამსახურდიამ მეორე ყრილობაზე, რომელიც 9 ნოემბერს გაიმართა.

— საგანგებო ყრილობა იმართება საგანგებო დროს, — აღნიშნა მან, — დღეს, როგორც არასდროს, უნდა დაირაზმონ ნამდვილი პატრიოტები, ჰელსინკის კავშირის წევრები და მოუწოდონ ქართველ ერს, გადაარჩინონ დემოკრატია, სააშკარაოზე გამოიყვანონ ცრუ პარტიები და ცრუ ორგანიზაციები. კავშირის მისია — დეზინფორმაციასთან შეუპოვარი ბრძოლა, მასობრივი მიტინგების, მანიფესტაციების, კრებების გამართვა, რათა ყველამ დაინახოს, რომ ოპოზიციის გზა განწირულია, დემოკრატია გაიმარჯვებს.

ყრილობიდან ყრილობამდე ჰელსინკის კავშირის მუშაობაზე ანგარიშით გამოვიდნენ გამგეობის წევრები თეიმურაზ ქორიძე და ავთანდილ რცხილაძე.

მომხსენებლებმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ აქტიური მუშაობა არჩევნების წინ, რომელიც პოლიტიკური ბლოკის „მრგვალი მაგიდა" — თავისუფალი საქართველოს" გამარჯვებით დამთავრდა, დღესდღეობით საგრძნობლად შენელდა. ყრილობამ დასახა ღონისძიებები მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ყრილობამ კავშირიდან გარიცხა წევრები, რომლებმაც დაარღვიეს ჰელსინკის კავშირის წესდების მოთხოვნები.

გაიმართა არჩევნები. ყრილობამ საქართველოს ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია ბატონი ზვიად გამსახურდია, თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულია ვახტანგ ჭითავა, გამგეობის წევრებად — თეიმურაზ ქორიძე, ავთანდილ რცხილაძე, ნუგზარ მოლოდინაშვილი.

ყრილობამ მიიღო წესდება და რეზოლუცია.

საქინფორმი.

სხვა გაზეთებიდან

თუ ქართველები ერთობით ვიქნებით!!!

(დასასრული)

ვისი თავი, როდესაც ტელევიზიასთან შეყრილ ე. წ. ოპოზიციას შეუერთდნენ და მთავრობის საწინააღმდეგო სხვადასხვა გამოსვლებს ჩაუდგნენ სათავეში.

ასე რომ, ყველა მიზეზი გვაქვს იმისა დავასკვნათ, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესი, ეს არის ეროვნულობისა და დემოკრატიის ნიღაბს ამოფარებული კომუნისტური ამბოხება (გინდ „პუტჩი") — საქართველოს ეროვნული მთავრობის წინააღმდეგ. ეს ამბოხება დიდი ხნის დაგეგმილია, სათანადოდ მზადდებოდა და ითვალისწინებდა საქართველოს კანონიერი ეროვნული მთავრობის დამხობას და მის ნაცვლად დემოკრატიის ლოზუნგს ამოფარებული, მოსკოვის მორჩილ მარიონეტული მთავრობის დასმას.

კრემლის დღევანდელმა მთავრობამ მშვენივრად უწყის, რომ საქართველოს დაკარგვით ის მთელს კავკასიას კარგავს, როგორც ამიერს, ისე იმიერს, ხოლო ბ-ნი ზ. გამსახურდია არის ის პიროვნება, რომელიც არანაირი პირობებით არ დაემორჩილება კრემლის დიქტატს და არ დაუშვებს საქართველოს შესვლას განახლებული რუსეთის იმპერიაში (ე. წ. სუვერენული სახელმწიფოების კავშირში);

— როგორც თქვენ ბრძანეთ, საქართველოში მიმდინარე მოვლენების სულისჩამდგმელი ე. შევარდნაძეა. როგორ ფიქრობთ, რა ინტერესები გააჩნია მას საქართველოს მიმართ?

ს. ჯ.: პირველ ყოვლისა, ე. შევარდნაძის აქაურ პროპაგანდისტებს მინდა შევახსენო, რომ მათი სათაყვანებელი „უდიდესი პოლიტიკოსი" ის გეზარეული გაიძვერაა, რომელსაც საქართველოში ყოფნის დროს „ჩრდილოეთიდან ამოსდიოდა მზე", ხოლო ჩრდილოეთში გადანაცვლების შემდეგ, ალბათ „დასავლეთიდან ელოდება ბედის ვარსკვლავის აღმობრწყინებას". იქნებ მათ დაავიწყდათ რა ბოროტებანი მოიმოქმედა მან საქართველოში და რა სისხლის ფასად მიაღწია „უდიდესად პროგრესული და დემოკრატი ადამიანის" ავტორიტეტს. ან იქნებ იმის შეხსენება სჭირდებათ, რომ ე. შევარდნაძე უპირველესად იმპერიის ყურმოჭრილი მსახურია და არა საქართველოს პატრიოტი, რომელიც ყოველი ხერხით შეეცდება იმპერიის ინტერესებს დაუმორჩილოს ქართველი ერის ბედი.

რაც შეეხება ე. შევარდნაძის მისწრაფებებს საქართველოს მიმართ, იგი მხოლოდ და მხოლოდ პიროვნულია. თავის დროზე სტალინმა პირად ამბიციებს შესწირა მსხვერპლად საქართველო, რათა მშობელი ერისაგან მოკვეთილი უცხო ქვეყანაში უბრალო ემიგრანტად არ დარჩენილიყო. ამ შემთხვევაში იგი ვერასგზით ვერ მიაღწევდა თავის უმთავრეს მიზანს — გამხდარიყო რუსეთის ბოლშევიკური იმპერიის უზენაესი ხელმძღვანელი. არ გამოვრიცხავ, იგივე ამბიციური მისწრაფებები არ ამოძრავებდეს სამშობლოდაკარგულ ე. შევარდნაძეს, რომელმაც ფარისევლურად ე. წ. რუსეთის დემოკრატიული მოძრაობა შექმნა და რომელსაც რუსეთის იმპერიის განმაახლებელთა მსგავსად დემოკრატიის ნიღაბი აქვს აკრული.

ჩვენს „დემოკრატებს" სასაცილოდ არ ეყოთ, როდესაც ბ-ნმა ზ. გამსახურდიამ მოსკოვის „პუტჩის" ერთ-ერთ ორგანიზატორად მ. გორბაჩოვი დაასახელა. დღეს უკვე, გორბაჩოვი-შევარდნაძე-ელცინის (იქნებ უპრიანი იყო შევარდნაძე პირველი მოგვეხსენიებინა?) მეამბოხური ალიანსი უფრო და უფრო აშკარა ხდება, ხოლო მ. გორბაჩოვის „პუტჩში" მონაწილეობის ვერსიას დასავლეთის ოფიციალური წრეები „გამსახურდიას ვერსიას" უწოდებენ.

— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, ოპოზიციონერთა მოქმედება ქართველი ერის ღალატის ტოლფასია. როგორ ფიქრობთ, ნუთუ ეს შეგნებული მოქმედების შედეგია, მათ შორის ხომ ბევრია ისეთი, ვისაც საქართველო გულწრფელად უყვარს?

ს. ჯ.: სავსებით გეთანხმებით. ამბოხებულთა ძირითადმა ნაწილმა არც კი უწყის თუ რა ავ საქმეს სჩადის საქართველოსთვის და ჰგონია, რომ ქართველი ერის სასიკეთოდ იბრძვის. ასეთად უპირველეს ყოვლისა გამდგარ გვარდიის და მის ხელმძღვანელობას ვთვლი. და საერთოდ, ყველა ის შეიარაღებული ჭაბუკი, რომელიც მავანთა წაქეზებით არც თავს ზოგავს და არც სხვა ქართველის სიცოცხლეს, ჩვენს გზააბნეულ ძმებად მიმაჩნია და არა ქართველი ერის განზრახ მოღალატეებად. განა ჩვენ იგივეს არ ჩავდიოდით, სანამ არ გამოვააშკარავეთ ავისშემოქმედთა საქმიანობის ჭეშმარიტი არსი? მთავარი დამნაშავენი ისინი არიან, ვინც გამორჩენის თუ „ღირსებების" მიზნით რენეგატობის გზას დაადგნენ და გააზრებულად მოქმედებენ ქართველი ერის წინააღმდეგ. სწორედ მათ უნდა აგონ პასუხი იმ ქართული სისხლისათვის, რომელიც მათი ამბიციურობის ფასად დაიღვარა.

გარდა ამისა, ამბოხების მოთავეთა და აქტიურ მხარდამჭერთა შორის ბევრს შეხვდებით ქართველი ერის ევროპიზაციის (თუ დასავლეთიზაციის) მეხოტბე კოსმოპოლიტებს, რომლებიც მამა-პაპათა ადათ-წესს იწუნებენ და საქართველოში დასავლური კულტურის გადმონერგვას ქადაგებენ დღენიადაგ. მათ შორის ხშირად იყო საუბრები იმის შესახებ, რომ თუ ჩვენ მართლა გვსურს საქართველოს ბედნიერი მომავალი, არ უნდა ჩამოვრჩეთ მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესებს (ევროპის ქვეყნების ინტეგრირება იგულისხმება) და სასწრაფოდ ვეზიაროთ ევროპულ (თუ დასავლურ) ცივილიზაციას, რომელიც თურმე ყველა ერისთვის სანიმუშოა და მსოფლიოს ყველა ხალხების თავისუფლების მატერიალური კეთილდღეობის გარანტია; რომ თუ რუსეთისაგან გამოვცალკევდებით უცილოდ ჩამოვრჩებით ამ პროცესებს; რომ თურმე ევროპის ქვეყნების გაერთიანების ფონზე სასაცილოც კია საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და რას „იბღინძება" და რით ამაყობს ქართველი ხალხი, როდესაც საქართველო ისეთი პატარაა, რომ რუკაზეც კი არ სჩანს.

ჩვენს წინაპრებს ტერიტორიული სიდიდით რომ განესაზღვრათ მშობელი მიწა-წყლის სიყვარული, დღეს არც საქართველო იარსებებდა და არც ქართველი ერი.

გარდა ამისა, იმ ვაჟბატონებს, რომლებიც დღევანდელი ევროპის (თუ დასავლეთის) ხრწნაშეპარულ ცივილიზაციას, ზნედაცემულ კულტურასა და მატერიალურ კეთილდღეობას შესტრფიან, საქართველოს ევროპიზაციას (თუ დასავლეთიზაციას) ქადაგებენ და საერთოდ, კოსმოპოლიტიზმის მეხოტბე პროპაგანდისტებად გვევლინებიან, მინდა განვუმარტო, რომ ალექსანდრე მაკედონელიდან დაწყებული — კომუნისტებით და „ნეოდემოკრატებით" დამთავრებული, ვერავინ შესძლო ამ იდეის განხორციელება, ხოლო მე-19 საუკუნის ბოლოს კოსმოპოლიტიზმის იდეის აღზევებას ორი მსოფლიო დამანგრეველი ომი მოჰყვა; რომ ამ იდეას არც მომავალში უწერია ხორცშესხმა, რადგან იგი შემოქმედი ღმერთის საწინააღმდეგო მდგომარეობაა; რომ კაცობრიობის სილამაზე ერთა მრავალფეროვნებაში გამოიხატება.

— გოგი ხოშტარია თქვენს ყოფილ მეგობრად მოიხსენიეთ, ხომ არ არის თქვენს შორის განხეთქილების მიზეზი — პოლიტიკა?

ს. ჯ.: რა თქმა უნდა, არა. მე მყავს მეგობრები, რომელთაც განსხვავებული პოლიტიკური მრწამსი გააჩნიათ, მაგრამ ამას ჩვენს მეგობრობაში ბზარი არ შეუტანია. მეგობრებს ღალატს, ტყუილს და ვერაგ საქციელს ვერ ვპატიობ.

გოგი ხოშტარიას საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნის დროს მის თანაშემწედ ვმუშაობდი, ხოლო ჩვენი საზოგადოების 6 წევრი მის პირად დაცვაში იყო. ჩვენ პატივს ვცემდით, ვენდობოდით და ვაფასებდით მას, როგორც პატიოსან და პატრიოტ ადამიანს. მან ბოროტად გამოიყენა ჩვენი მიმნდობლობა და საქართველოს დიდ ღალატში დაგვადებინა წილი. მადლობა უფალს, დროზე ავუღეთ ალღო მის და მის თანამზრახველთა ავ ჩანაფიქრს და ჩამოვშორდით მათ.

ყოველივე ამის შემდეგ მე მას მეგობარს ველარ ვუწოდებ.

— რას ფიქრობთ, როგორ განვითარდება შემდგომი მოვლენები საქართველოში? ანუ ვთქვათ, როგორია თქვენი პროგნოზი?

ს. ჯ.: საქართველოში იყო მოსკოვის მიერ ეროვნული ხელისუფლების დამხობის მცდელობა, მაგრამ იგი დამარცხდა, როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად. ვეჭვობ, რომ იგი არ დამარცხებულა იდეოლოგიურად, რადგან კრემლს ალბათ ჰყავს ფარული აგენტურა (სავსებით შესაძლებელია — ისიც ეროვნულობის ნიღაბს ამოფარებული), რომელიც წინარე ამბოხების დროს არ გამოვლინდა, და რომელიც მორიგ ამბოხებას უთავებს.

ჩემის აზრით ამბოხება განმეორდება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ხელისუფლება მოსკოვის მთავრობასთან არ დადებს არანაირ ხელშეკრულებას, რომელიც შებღალავს საქართველოს სუვერენიტეტს.

— თქვენი განცხადებით ამბოხება შეიძლება კვლავ განმეორდეს, როგორ ფიქრობთ, რა ზომები უნდა მიიღოს საქართველოს ხელისუფლებამ, რომ ეს ამბოხება აღკვეთილ იქნეს?

ს. ჯ.: ამ კითხვაზე ალეგორიულ პასუხს მოგცემთ ერთი ისტორიული სინამდვილით: ორხელ აპატია სულგაბრწყინებულმა დავით აღმაშენებელმა ღალატი რატი ბაღვაშს, ვერაფრით ვერ მოიშრვა ამპარტავანი ერისთავი, მუდამჟამს მტრული ბიზანტიისკენ ეჭირა თვალი, ბაგრატოვანთა დინასტიის დამხობის მოსურნეს — ორბელთა საგვარეულოდან. ექვსი ათასი ქართველი ვაჟკაცი შეაწყდა ერთმანეთს უსაზომოდ დავითის მიერ კლდეკარის ციხის სამგზის აღებას. მესამეჯერ აღარ შეუნდო გულზვიად მთავარს, სარზე გასვა გათავხედებული ყმაი, ისტორიიდან ალბათ, სწორი დასკვნების გამოტანაა საჭირო.

— დიდად გმადლობთ საინტერესო საუბრისათვის.

ს. ჯ.: თქვენც გმადლობთ ყურადღებისა და გულისხმიერებისათვის. მთელს ქართველ ერს კი მოვუწოდებ:

ვიაროთ ღვთის გზით და ღმერთი ჩვენთან იქნება!

გაზეთი „თბილისი", 1991 წლის 8 ნოემბერი.

ეს დღეები თბილისის უნივერსიტეტში

21 ოქტომბრიდან სიმშვიდემ და სიწყნარემ დაისადგურა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კორპუსებში — ვაკესა და დიღომში... დაიწყო სწავლა.

უნივერსიტეტის რექტორატმა ჯერ კიდევ 16 ოქტომბერს, სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, კატეგორიული მოთხოვნები წამოაყენა. შემდეგ იგი რექტორის, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ როინ მეტრეველის ბრძანებაში დაკონკრეტდა: უარყოფილ იქნეს ლექცია-სემინარებზე სტუდენტთა თავისუფალი დასწრების ადრე არსებული პრაქტიკა და უკლებლივ ყველა ფაკულტეტზე დაწესდეს სტუდენტთა დასწრების მკაცრი აღრიცხვა.

რექტორისავე ბრძანებით დაწესდა ფაკულტეტთა თანამშრომლების მორიგეობა სასწავლო კორპუსებში.

დისციპლინას რომ მუდმივი ყურადღება მიექცევა, ეს აღინიშნა 4 ნოემბერს რექტორატის სხდომაზე, რომელიც ახალი სასწავლო წლიდან, რექტორის გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტის საჭირბოროტო საკითხებზე სჯა-ბაასის და გადაწყვეტილებათა მიღებისათვის საჭირო შეკრებებად უნდა იქცეს.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება დღეს თბილისის უნივერსიტეტის საერთაშორისო კონტაქტებს. ეს ითქვა რექტორის, პროფესორ როინ მეტრეველის და ლოძის უნივერსიტეტის წარმომადგენლის პროფესორ სტანისლავ ლიშევსკის შეხვედრაზე. თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა ხელი მოაწერა ამ სასწავლებლების 1990-1995 წლების ხელშეკრულებას.

გამოიკვეთა პარმის და მილანის კათოლიკურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის კონტურები.

პირველ ნოემბერს თბილისის უნივერსიტეტის რექტორი შეხვდა ინგლისელ ქართველოლოგს, სამხრეთ ბრისტოლის ქალაქ ეგზეტერის უნივერსიტეტის პროფესორს, ლონდონის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის და აფრიკის ინსტიტუტის კავკასიის განყოფილების თანამშრომელს, პროფესორ დევიდ ბრაუნს. კონსტრუქციულ საუბარში, რომელიც ეხებოდა ქართველოლოგიური მეცნიერების მდგომარეობას დიდ ბრიტანეთში, მონაწილეობდნენ პროფესორები მზექალა შანიძე და გურამ ლორთქიფანიძე.

როგორ ხდება სუვერენული ქვეყნის წამყვანი უნივერსიტეტის ტრანსფორმაცია — ეს იქნება ამოსავალი აზრი მომავალი წიგნისა, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის ისტორიას მიეძღვნება და გამოიცემა ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტაში, — ასეთია ატლანტის ემორის უნივერსიტეტის მდივნის (პირველი პრორექტორი — რედ.), სამართლისა და ამერიკის ლიტერატურის სპეციალისტის პროფესორ ტომას ბერთრანის სურვილი. ამ წიგნზე მუშაობა მან უკვე დაიწყო.

ტომას ბერთრანი ამჟამად უნივერსიტეტშია და თავისი ამ განზრახვისა და თბილისისა და ატლანტის უნივერსიტეტების თანამშრომლობის შესახებ ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა უნივერსიტეტის რექტორთან.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი „ადამიანი და კაცობრიობა".

15 ნოემბერს, 2 საათზე, პირველი შეკრებაა. აკადემიკოსი ლეო გაბუნია წარსდგება მოხსენებით: „პალეოანთროპოლოგიური აღმოჩენა დმანისის რაიონში".

მიმი შეყილაძე,
გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის" რედაქტორი.

საზღვარგარეთ

ცნობები გროზნოდან

9 ნოემბერს ჩეჩნეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის გენერალ ჯოხარ დუდაევის ინაუგურაციის დღეს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის ბრძანებით რესპუბლიკაში საგანგებო წესები გამოაცხადეს და რუსეთის ფედერაციის კანონების აღსადგენად გროზნოში ორი ათასი „ომონის" ჯარისკაცი გაგზავნეს. „ომონმა" დაიკავა ქალაქის სტრატეგიული დანიშნულების ადგილები.

მოსკოვის ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურის ცნობით, პრეზიდენტ დუდაევის მხარეზე გადავიდა სპეცდანიშნულების საბჭოთა არმიის 700 ჯარისკაცი, რომლებიც ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე იყვნენ დისლოცირებული.

გროზნოს თავისუფლების მოედანზე გაიმართა ასიათასიანი მიტინგი, რომლის მონაწილეებმა პროტესტი გამოთქვეს ელცინის გადაწყვეტილების წინააღმდეგ. უამრავი შეიარაღებული ადამიანი ჩავიდა სოფლებიდან. ეროვნულ გვარდიაში 70 ათასამდე ადამიანი ჩაეწერა. მობილიზებულია ყველა მამაკაცი 15-დან 40 წლამდე, „ომონის" 2 ათასი ჯარისკაცი ალყაში მოექცა.

იმავე დღეს, თვითმფრინავი, რომელიც მინერალური წყლები — ეკატერინბურგის რეისს ასრულებდა, ოთხმა შეიარაღებულმა პირმა ჩაიგდო ხელში და დაახლოებით ვოლგოგრადის საჰაერო სივრციდან კურსს გადაუხვია. მოგვიანებით თვითმფრინავი 171 მგზავრით თურქეთის დედაქალაქ ანკარაში დაეშვა. გამტაცებლებმა პრესკონფერენცია გამართეს, სადაც დაგმეს ჩეჩნეთში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება. მეორე დღეს თვითმფრინავი გროზნოში დაეშვა.

რუსეთის უზენაესი საბჭო განიხილავს გროზნოში შექმნილ ვითარებას. სიტყვით გამოვიდა დეპუტატთა თითქმის 25 პროცენტი, მათგან დაახლოებით 90 პროცენტმა დაგმო ჩეჩნეთში ძალისმიერი მეთოდების გამოყენება. მოსკოვის რადიოს ცნობით, რუსეთის ფედერაციის „სუკის" უფროსმა ივანენკომ თქვა, რომ „ჩეჩნეთში ჯარების გაგზავნა ტრაგიკული შეცდომა იყო".

გროზნოში შეიქმნა თავდაცვის ეროვნული საბჭო გენერალ ჯოხარ დუდაევის ხელმძღვანელობით. ელცინის მიერ დანიშნული ჩეჩნეთის გუბერნატორის ასლახანოვის საქმიანობა მთლიანად ბლოკირებულია.

რადიო „თავისუფლების" ცნობით, გენერალ დუდაევის დაპატიმრების თაობაზე ორდერია გამოწერილი, მაგრამ მისი დაპატიმრება გაძნელებულია, რადგან იგი ჩეჩნეთში ვითარებას მთლიანად აკონტროლებს. ჩეჩნეთის თავდაცვის მინისტრის თქმით, გროზნოს აეროპორტში საბჭოთა სამხედრო მოსამსახურენი არიან დაპატიმრებული.

რუსეთის უზენაეს საბჭოზე რუცკოი, ელცინი, ჰასბულატოვი და შახრაი ჩეჩნეთის წინააღმდეგ ძალისმიერ მოქმედებას ამართლებენ. რუცკოიმ თქვა, რომ მან მიიღო ჩეჩნეთის გუბერნატორის ასლახანოვის წერილი, სადაც იგი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას მოითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩეჩნეთში ვითარება უმართავი გახდებოდა. სწორედ ამიტომ შევიყვანეთ შინაგანი ძალები გროზნოში, დასძინა რუცკოიმ.

შვედეთის რადიოს ცნობით, ელცინის გადაწყვეტილება ჩეჩნეთის ძალით დამორჩილების თაობაზე ეწინააღმდეგება დემოკრატიის პრინციპებს.

საბრძოლო მზადყოფნაშია მოყვანილი სტავროპოლის მხარის კაზაკთა სამხედრო რაზმები. ისინი მთლიანად ეთანხმებიან ელცინის გადაწყვეტილებას ჩეჩნეთის წინააღმდეგ ძალისმიერი მოქმედების თაობაზე.

გუშინ მახაჩყალაში გაიმართა დუდაევის მხარდასაჭერი მიტინგი. იუწყებიან, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლება შეშფოთებით შეხვდა გროზნოში სამხედრო ნაწილების შეყვანას. ჩეჩნების მხარდამჭერი მიტინგი ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქ ნალჩიკშიც გაიმართა.

გუშინდელ გროზნოს გაზეთებში აღნიშნავდნენ, რომ გენერალ დუდაევის სიმტკიცემ და კავკასიელი ხალხების სოლიდარობამ რუსეთის ფედერაციის დროებით ხელი აღებინა გროზნოს სამხედრო ოკუპაციაზე. ვარაუდობენ, რომ „ომონის" გაყვანის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღეს შაპოშნიკოვმა, სტეპანკოვმა და გორბაჩოვმა.

ლატვიის ამბები

გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ლატვიის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ივარ გოდმანისის ვიზიტის დროს განიხილეს აგრეთვე საბჭოთა კავშირის საგარეო ვალის გადახდაში ლატვიის მონაწილეობის პრობლემა. ი. გოდმანისის აზრით, ეს საკითხი უნდა გადაწყდეს როგორც სსრ კავშირთან, ასევე რუსეთთან მოლაპარაკების გზით, ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ, რომ 1940 წელს, ოკუპაციის შემდეგ, რესპუბლიკას ჩამოერთვა მთელი ფასეულობანი — ფული, ოქრო, ფასიანი ქაღალდები, უნდა დაანგარიშდეს უკანასკნელი ორმოცდაათი წლის მანძილზე ლატვიისათვის მიყენებული ზარალის ოდენობა. სადავოა ის საკითხი, უნდა დავაბრუნოთ თუ არა კრედიტები, რომელთა მისაღებად ჩვენთვის ნებართვა არ უთხოვიათ, და რომლებიც მოხმარდა, ვთქვათ, იარაღის წარმოებას ანდა უტოპიურ პროექტებს. ლატვიის მთავრობას, აღნიშნა გოდმანისმა, შეეძლო განეხილა იმ საწარმოებში დაბანდებული კრედიტების ანაზღაურების საკითხი, რომლებიც ახლა რესპუბლიკის საკუთრებაში გადავიდა.

„**ლატვიის** პოლიტიკური და ეკონომიკური სიძნელეები გაცილებით რთულია, ვიდრე გვეგონა", — თქვა ლატვიის უზენაეს საბჭოში გამართულ პრესკონფერენციაზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა რულოფ ფრედერიკ ბოტამ, რომელიც ერთდღიან ოფიციალურ ვიზიტად იყო რიგაში.

— მთელი ის სირთულეები, — განაგრძო მინისტრმა, — რომელთა დაძლევაც მოუწევს ლატვიას საბაზრო ეკონომიკის, ცხოვრების გაუმჯობესების გზაზე, ძალიან ჰგავს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრობლემებს. თქვენმა რესპუბლიკამ აუცილებლად უნდა დაამსხვრიოს ჯერ კიდევ მოქმედი მეურნეობრიობის კომუნისტური სისტემა, ჩვენ კი საბოლოოდ უნდა მოვსპოთ აპარტეიდის შედეგები. და ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ მომავალი უნდა ვაშენოთ ჩვენ თვითონ, უნდა ვიცოდეთ, რომ დასავლეთის კაპიტალი არასოდეს არ იქნება ინვესტირებული ქვეყანაში, სადაც არ არის სტაბილურობა, სადაც ადამიანები გამოდიან დემონსტრაციებზე და მოითხოვენ ადამიანის უფლებათა გარანტიებს. რაც შეეხება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას, ყველა პარტიას, რომლებიც არ არიან წარმოდგენილი სახელმწიფო ხელისუფლების მეტ წილ ახლანდელ სტრუქტურებში, აქვს შესაძლებლობა მონაწილეობდეს ქვეყნის პოლიტიკის განსაზღვრაში. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა დღეს ეძებს თანხმობას თეთრკანიანთა და შავკანიანთა შორის, ქვეყნის ყველა ეროვნულ უმცირესობას შორის.

გენადი დემეტრაშვილი,
საქინფორმის საკ. კორ.

ტერ-პეტროსიანი ფიცს სდებს და... მიემგზავრება

— **თუ ერთ** წელიწადში ვერ შევასრულებ ჩემი პროგრამის სამ მეოთხედს მაინც, რეფერენდუმის მეშვეობით ვთხოვ ჩემს ხალხს ნდობის ვოტუმს, — განაცხადა ლევონ ტერ-პეტროსიანმა სომხეთის პარლამენტის სპეციალურ სესიაზე წარმოთქმულ საპროგრამო სიტყვაში.

პროგრამა, რომლითაც 11 ნოემბერს გამოვიდა სომხეთის პირველი პრეზიდენტი თავისი ინაგურაციის დროს, წარმოადგენს ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნების, მეზობელ ქვეყნებთან და რესპუბლიკებთან კეთილი ურთიერთობის დამყარების ფართო სპექტრს.

სომხეთის პრეზიდენტმა დაადასტურა თავისი ერთგულება ჟელეზნოვოდსკის კომუნიკესადმი, ყარაბაღის პრობლემის მოწესრიგებისთვის.

11 ნოემბერს, დღის 11 საათზე, 46 წლის ფილოლოგიის დოქტორმა ლ. ტერ-პეტროსიანმა, სომხეთის პირველმა საყოველთაო-სახალხოდ არჩეულმა პრეზიდენტმა, მატენადარანის უძველეს ხელნაწერზე მეშვიდე საუკუნის ბიბლიაზე დადო ფიცი, რომ ერთგულად ემსახურება ხალხს, წმინდად დაიცავს სომხეთის კონსტიტუციასა და კანონებს, იქნება ერის ინტერესებისა და ადამიანის უფლებების დაცვის გარანტი.

პირველი პრეზიდენტი დალოცა კათალიკოსმა ვაზგენმა.

იმავე დღეს ლევონ ტერ-პეტროსიანი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაფრინდა, სადაც 14 ნოემბერს შეხვდება პრეზიდენტ ჯ. ბუშს. შემდეგ იგი ეწვევა კანადას, სადაც აგრეთვე შეხვდება ამ ქვეყნის ხელმძღვანელს. თავისი ვიზიტის პროგრამის შესახებ პრეზიდენტს არაფერი არ უთქვამს.

გერმანია

გერმანიის კანცლერი ჰელმუტ კოლი ისტორიაში შევიდა, როგორც ერთიანი გერმანიის ხელმძღვანელი. მისმა გონივრულმა, ზუსტად აწონილმა პოლიტიკამ დიდად შეუწყო ხელი ევროპაში ისეთი ანომალიური მოვლენის აღმოფხვრას, როგორიც იყო დემოკრატიული და კომუნისტური გერმანიის არსებობა. კოლი ალბათ პირველი და უკანასკნელი კანცლერი იქნება, რომელიც ჯერ ერთ გერმანიას ხელმძღვანელობდა და შემდეგ კი ერთიანს. საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში იგი ფრთხილად იქცევა, არც ფულის ხარჯვას ერიდება, რათა ბოლომდე შეუწყოს ხელი გორბაჩოვის მთავრობას, რომელიც გერმანიის სასარგებლოდ დათმობებს დათანხმდა. ამბობენ, რომ კოლს კიდევ უფრო სერიოზული გეგმები აქვსო საბჭოთა კავშირთან მიმართებაში. ბოროტი ენები ამბობენ, რომ იგი კალინინგრადის (ყოფილი კენიგსბერგი) ოლქსაც უმიზნებსო. თუ ეს მართალია, მაშინ რლვევისპირას მისულ საბჭოთა იმპერიასთან მისი ურთიერთობა ფრიად გამართლებულია და შესაძლოა მან მიზანსაც მიაღწიოს.

სურათზე: გერმანიის კანცლერი ჰელმუტ კოლი, მისი მეუღლე ჰანელორე და ოჯახის ერთგული მეგობარი ფელიქსი ავსტრიის საკურორტო ქალაქ ზანქტგილგენში დასვენების დროს.

მოსკოვის მეტროს სადგურების ახალი სახელწოდებანი

მოსკოვის მეტროს, რომელიც, სხვათა შორის, უკვე აღარ არის ოქტომბრის რევოლუციის ბელადის სახელობისა, 148 სადგურიდან 10-მა შეიცვალა სახელი. მეტროპოლიტენის სამმართველოს ტექნიკურ განყოფილებაში გვაცნობეს, რომ სადგურებისათვის სახელის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო მოსკოვის საქალაქო საბჭომ. ასეთ შემთხვევაში, გასაოცარია მოსკოვის ხელისუფალთა არათანამიმდევრულობა და გაუბედაობა. თავად განსაჯეთ: სადგურს „მარქსის პროსპექტს" ახლა ეწოდება „ოხოტნი რიადი", ხოლო სადგური „მარქსისტსკაია" უწინდელ სახელს ატარებს. „სუხარევსკაია", — აცხადებს ვაგონში ხმა, როცა მატარებელი უახლოვდება ყოფილ „კოლხოზნაიას", ხოლო როცა უახლოვდება „ვდნხ"-ს (სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა — ამ აბრევიატურის გაშიფვრა, დაგვეთანხმებით, სიცილის გარდა, ვერაფერს გამოიწვევს), მგზავრებს ესმით იგივე, რაც უწინ — „ვდნხ". „კიროვსკაია" გახდა „ჩისტიე პრუდი", „შჩერბაკოვსკაია" — „ნოვოალექსეევსკაია", ხოლო აი „ფრუნზენსკაია" „ფრუნზენსკაიად" დარჩა, უწინდებურად ჰქვია სადგურებს „ილიჩის მოედანი" და „ლენინის სახელობის ბიბლიოთეკა". ეტყობა, მათ სახელს შეუცვლიან, როცა ახალი სახელი დაერქმევა თვით მოედანსა და ბიბლიოთეკას. ალბათ, ესეც დამოკიდებულია მოსკოვის საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილებაზე.

დ. გერძენიშვილი,
საქინფორმის საკ. კორ.

ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციაში

1991 წლის 6 ნოემბერს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის დარბაზის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ ქართველი და ებრაელი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

როგორც საზოგადოებრიობისთვისაა ცნობილი, აღმოსავლეთის ებრაულ თემთა კვლევის ბენ-ცვის სახელობის იერუსალიმის ინსტიტუტს, ბენ-ცვის სახ. მემორიალთან არსებულ პალესტინის ისტორიის კვლევის ინსტიტუტს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციას შორის 1989 წ. გაზაფხულზე დადებული ხელშეკრულების საფუძველზე 1990 წლის დეკემბერში იერუსალიმში გაიმართა პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც მიეძღვნა საქართველო-პალესტინის კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობებს, საქართველოს ებრაელთა ისტორიისა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა საკითხებს. გადაწყდა, რომ მეორე სიმპოზიუმი მოეწყოს 1992 წლის შემოდგომაზე თბილისში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს, ისრაელისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების მეცნიერები.

ქართულ-ებრაულ ურთიერთობაში არის არაერთი ფაქტი, რომელიც ნათელ ნიშანსვეტად ადგას ამ ორი უძველესი ერის ისტორიულ თანამეგობრობას. ერთ-ერთი ასეთი ნათელი ფურცელია საბა კლდიაშვილისა და სხვა ოთხი ქართველი ახალგაზრდის თავდადება და თავგანწირვა ებრაელების დასაცავად 1905 წელს ოდესაში რუსეთის შავრაზმული ძალების მიერ მოწყობილი პოგრომების დროს.

საყოველთაოდაა ცნობილი მეორე მსოფლიო ომში დაღუპული 6 მილიონი ებრაელის ხსოვნის მუზეუმი „იად ვა-შემ", რომელიც იძიებს მასალებს იმ არაებრაელთა შესახებ, თავდადება რომ გამოიჩინეს ებრაელთა გადასარჩენად. მათი სახელების უკვდავსაყოფად მუზეუმთან გაშენებულია მშვენიერი მემორიალური ხეივანი. ასოციაცია „იად ვა-შემ"-ის მუზეუმს წარუდგენს მასალებს იმ ქართველთა ღვაწლის შესახებაც, რომელთაც მეორე მსოფლიო ომის დროს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ნაცისტებისაგან არაერთი ქართველი ებრაელი გადაარჩინეს სიკვდილს.

დარბაზის სხდომაზე საინტერესო მოხსენებით წარდგა ხელოვნებათმცოდნე ა. ჩხეიძე. იგი შეეხო მსოფლიოში სახელგანთქმული ებრაელი მხატვრის, მ. შაგალის, რ. ფალკის, კ. მალევიჩის მოწაფის საქართველოს დიდი მეგობრის სოლომონ გერშოვის (1906-1989) ცხოვრებასა და შემოქმედებას, მისი დაბადებიდან 85 წლისთავთან დაკავშირებით. „თანამედროვეობის გენიალური მხატვარი" — ასე აფასებდა მას დიდი ქართველი ხელოვანი ლადო გუდიაშვილი. „ს. გერშოვი უდიდესი ნიჭის მხატვარი, ოსტატი, მოგვი და ჯადოქარია" — ასე შეაფასა იგი სანკტ-პეტერბურგის „ერმიტაჟის" დირექტორმა აკად. ბორის პიოტროვსკიმ. წარმოდგენილი იყო ს. გერშოვის რამდენიმე შედევრი: „მეფე სოლომონი და სულამითი", „რემბრანდტი ანგელოზით", „ბეთჰოვენი", „ნიკო ფიროსმანაშვილი", „საიდუმლო სერობა", „ლოცვა". ცხოვრების უმძიმესი გზა განვლო მხატვარმა: რუსეთის რევოლუციები, ანტისემიტიზმი, სიდუხჭირე, „სოცრეალიზმის" წნეხი, დაპატიმრებები, გადასახლებები 30-40-იან წლებში, აღიარებლობა... განსაკუთრებულია ს. გერშოვის დამოკიდებულება საქართველოსთან, მის კულტურასთან. ახლოს იცნობდა და უყვარდა მისი ბუნება, ხალხი. 70-80-იან წლებში თვეობით ცხოვრობდა თბილისში. აქ ჰყავდა მრავალი მეგობარი — მხატვრები, მწერლები, რომელთა შორის უპირველესი ცნობილი ქართველი მწერალი ლევან გოთუა იყო. მასთან ერთად წლები გაატარა მხატვარმა გადასახლებაში — შორეულ ჩრდილოეთში, ვორკუტის შახტებში. ლევან გოთუას იგი თავისი და მრავალი სხვა პატიმრის გადამრჩენლად რაცხდა. აქ, საქართველოში მოეწყო ს. გერშოვის პერსონალური გამოფენები (1974, 1979, 1985, 1987, 1990). საქართველომ კიდევ უფრო განავრცო მხატვრის შემოქმედებითი სამანი, ახალი სიმძაფრე და შემოქმედებითი იმპულსი მისცა მის უშრეტ შინაგან სამყაროს. ამისავე დასტურია ს. გერშოვის ნამუშევრების ყველაზე დიდი კოლექციების არსებობა საქართველოში: ხელოვნების ეროვნულ მუზეუმში, ნ. ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმში, მუსიკისა და კინოს სახ. მუზეუმსა და კერძო პირებთან. თბილისი, ფაქტიურად, თანამედროვეობის დიდი მხატვრის შემოქმედების განძთსაცავია: უდიდესია დაინტერესება ს. გერშოვის ხელოვნებით მთელ მსოფლიოში. დარბაზის სხდომაზე გადაწყდა მოეწყოს ს. გერშოვის პერსონალური გამოფენა იერუსალიმში და გადაღებულ იქნეს საქართველოსა და ისრაელის ტელევიზიის ერთობლივი დოკუმენტური ფილმი დიდი მხატვრის შემოქმედებაზე, რომელიც მთელი მსოფლიოს საკუთრებაა...

დარბაზმა ერთსულოვანი გულისწყრომა გამოთქვა საქართველოში ბოლო ხანებში ებრაულ ოჯახებზე მძარცველური თავდასხმების გამო, რაც რესპუბლიკის მძიმე კრიმინოგენური ფონის ერთ-ერთი სავალალო შტრიხია. აღინიშნა საქართველოსთვის ისტორიულად გაუგონარი ფაქტები: თბილისის ებრაულ სასაფლაოთა დარბევები და ამ რამდენიმე დღის წინ კი ონის სინაგოგის გაძარცვა. საქართველოს მტერი დაუძინებელია. ეს ყოველივე, უპირველესად, მის წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა.

სხდომაზე საგანგებო საუბარი გაიმართა გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის" ერთი პუბლიკაციის გამო (იხ. გ. გაბაშვილი, „მსოფლიო ინტეგრაციული პროცესი ქრისტიანული ესქატოლოგიის შუქზე", ს. რ., 15.10.91 გვ. 2). აღინიშნა, რომ საქართველოსათვის მტრული ძალების ანტისემიტურ ქმედებათა ფონზე წერილმა, რომელიც სცილდება „ოდენ თეოლოგიურ-მსოფლმხედველობით სფეროს" და პოლიტიკური ასპექტების მატარებელიცაა, გამოიწვია, როგორც თვით ავტორი აღნიშნავს „აუცილებელ განმარტებაში" (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა", 29.10. 1991, გვ. 4), „საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა შორის ერთგვარი შეშფოთება და დაბნეულობა" (ჩვენის მხრივ დავუმატებდით, რომ არა მარტო მათ შორის და არა მარტო საქართველოში. ამასთან დავძენდით, რომ ქართველ ებრაელობაში წერილის ტონმა უპირველესად გულწრფელი წუხილი გამოიწვია, რადგან იგი საკუთრივ ქართველი ხალხის ტრადიციების წინააღმდეგ არის მიმართული. ხოლო „შეშფოთება და დაბნეულობა" შიშის შედეგია და ღმერთმა ნუ ქნას აქამდე მივიდეს საქმე).

დარბაზი აღნიშნავს, რომ საერთოდ, ნებისმიერი ფილოსოფიურ-თეოლოგიურ-პოლიტიკური საკითხის განხილვა (განსაკუთრებით ცენტრალურ პრესაში და თან ამავე საკითხებზე ასე თანმიმდევრულად — იხ. მიტროპოლიტი ვიტალი, „ეკუმენიზმი". გ. გაბაშვილის თარგმან-წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. — გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 6.XI.91, გვ. 3-4, მისივე, „რუსეთი გზაჯვარედინზე" — გაზ. „ქართველი ერი", № 19, გვ. 11), კომპეტენტურობასთან ერთად დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, ვინაიდან, იქმნება „თემის ერთგვარი პროფანირების საშიშროება" თუ საკითხის „ხალხური ეტიმოლოგიის" საფრთხე, რომლის არასასურველი შედეგების განჭვრეტა ძნელი არაა. ყოველ შემთხვევაში, გვჯერა, ავტორს აღარ დასჭირდებოდა „აუცილებელ განმარტებაში" თავი ემართლებინა, რომ იგი, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანი, როგორ შეიძლება „საერთოდ რომელიმე ერის მოძულე იყოს, მეტადრე კი — ანტისემიტი". რაც შეეხება იმავე „აუცილებელ განმარტებაში" პატ. ავტორის მოწოდებას საქართველოში მცხოვრებ თუ ისრაელში ასული ებრაელობისადმი, რომ „მოახდინონ ძლიერი დაწოლა შამირის მთავრობაზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების მოთხოვნით, რათა არ შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ საქართველოდან ემიგრირებული ებრაელების სიყვარული ოდენ ქართულ ყოფით კულტურაზე ვრცელდება და არა ქართველ ერზე", აღინიშნა, რომ ერთი სახელმწიფოს (თუ გაეროს) მხრივ მეორე სახელმწიფოს ცნობა მნიშვნელოვანი ისტორიულ-პოლიტიკური აქტია, რომელიც საჭიროებს მრავალი საერთაშორისო თუ საშინაო ასპექტის გათვალისწინებას და შესაბამისი აქტიური (ხშირად ეტაპობრივი) ნაბიჯების გადადგმას (გავიხსენოთ თუნდაც 1948 წელს გაეროს მხრივ ისრაელის დამოუკიდებლობის ცნობის პერიპეტიები).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის, თბილისის სახ. უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურის, კავშირგაბმულობისა და სხვა სამინისტროებისა და „სახალხო დიპლომატიის" ხაზით, ქართველი ებრაელობის დახმარებითა და მეოხებით ბოლო წლებში ისრაელ-საქართველოს შორის ხელმოწერილია მრავალი ხელშეკრულება, რომელთა სრულად ამოქმედება ბუნებრივია უშუალოდ დაკავშირებულია პოლიტიკური სტაბილურობისა და მწვავე ეკონომიკური პრობლემების დაძლევასთან. გადადგმულია ნაბიჯები საქართველოსა და ისრაელის საპარლამენტო და საგარეო საქმეთა სამინისტროების ხაზით შეხვედრა-მოლაპარაკების გასამართავად. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელობისადმი ასოციაციის „ღია წერილში" (იხ. გაზ. „თბილისი", 1989 წ. 19 VII). აღნიშნული იყო და არსებულ პოლიტიკურ რეალიათა გათვალისწინებით ასოციაციას ახლაც მიაჩნია, რომ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობისა და დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისათვის მოღვაწეობასთან ერთად, უნდა გაგრძელდეს მუშაობა საკონსულო სამსახურების შექმნის ხაზითაც.

ასოციაციის დარბაზს ღრმად სწამს, რომ საქართველოსთვის ამ გადამწყვეტ ისტორიულ ეპოქაშიც ქართველი ებრაელობა ქართული სახელმწიფოებრიობისა და ერისადმი ტრადიციულ თანადგომას არასდროს დაიშურებს.

აქ არაფერს ვიტყვით საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა ღვაწლზე. ეს ქართველი საზოგადოებრიობისათვის ისედაც კარგადაა ცნობილი. რაც შეეხება ისტორიულ სამშობლოში — ისრაელში ასულ ებრაელებს, ამის შესახებაც, ვფიქრობთ, ჩვენმა საზოგადოებრიობამ გარკვეულად უწყის, სწორედაც საქართველოს ებრაელობამ 1970-იანი წლების ემიგრაციიდან მოკიდებული, კულტურის, მეცნიერების, პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობით („ვეფხისტყაოსნის" გაპონოვისეული ბრწყინვალე თარგმანი, რომელსაც მიენიჭა ისრაელის უმაღლესი ლიტერატურული ჯილდო — ჩერნიხოვსკის სახ. პრემია, გრ. რობაქიძისა და სხვა ქართველ მწერალთა თხზულებების თარგმანები, „ბიბლიის" („ძველი აღთქმის") ა. მამისთვალოვის, თ. მამისთვალოვ-კეზერაშვილისა და გ. ბენ-ორენის (წიწუაშვილი) თარგმანი, დოქტორ ი. დავიდის (დავითაშვილი), გ. ბენ-ორენის (წიწუაშვილი), პროფ. კ. ლერნერის ქართველოლოგიური კვლევა-ძიებანი, სხვადასხვა ქართულენოვანი სამწერლობო კრებულების გამოცემები, ჟურნალ „დროშის" (რედ. ხ. ხუბელაშვილი) და გაზ. „ალია საქართველოდან" (რედ ა. სეფიაშვილი) რედაქციების მრავალწლიანი ნაყოფიერი მოღვაწეობა, თვალსაჩინო მწერლების — ა. მამისთვალოვის, თ. მამისთვალოვ-კეზერაშვილის, დ. აგმონის (აჯიაშვილი), ი. დავიდის (დავითაშვილი). შ. დავიდის (დავითაშვილი), ს. ჯანაშვილის, ც. მიხელაშვილის, ს. ადარის (აჯიაშვილი), რ. აბნერაშვილის, ი. ჩიკვაშვილის, ი. მიხელაშვილის და სხვათა ქართული თემატიკისადმი მიძღვნილი შემოქმედება, ცნობილი დირიჟორისა და კომპოზიტორის დ. ფიჩხაძის მოღვაწეობა საქართველოსთან მიმართებაში, საქართველოს ებრაელთა ისტორიისა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა თემებზე ცნობილი მწერლის ჯ. აჯიაშვილის გახმაურებული პიესის „გამოიღვიძე, ქნაროს" პრემიერები ისრაელის ქალაქებში, ისრაელის ქართული ფოლკლორული ანსამბლების წარმატებული მოღვაწეობა მსოფლიოს ქვეყნებში, ცნობილი მხატვრების მ. ჯანაშვილის, ი. და მ. ფიჩხაძეების, რ. მოშიაშვილის, მ. კრიხელის შემოქმედება, ქ. აშდოდში წლების განმავლობაში ე. გურისა (გურიელაშვილი) და ლ. მაღალის (მაღალაშვილი) ხელმძღვანელობით გამართული ქართულ-ებრაული ეთნოგრაფიული ზეიმები, ე. გურის, ი. დავიდის, შ. დავიდის დ. შიმშილაშვილის, რ. ელიგულაშვილის, რ. ბარლავის (ბალუაშვილის) და სხვათა მოღვაწეობა პოლიტიკურ-საზოგადოებრივ სფეროებში საქართველოს საოხად, მსოფლიო ებრაელთა ყრილობებსა და კონგრესებზე ცნობილი მწერლების გ. ბათიაშვილის, ჯ. აჯიაშვილისა და ასოციაციის ხაზით სხვათა გამოსვლები და შეხვედრები ისრაელის სახელმწიფოსა და მთავრობის ხელმძღვანელებთან, 1991 წელს საქართველოში მომხდარ მიწისძვრასთან დაკავშირებით ქართველ ებრაელთა მიერ ორგანიზებული საქართველოსთვის გაწეული ჰუმანიტარული დახმარება და ა. შ.), შეუქმნა არაჩვეულებრივი იერსახე საქართველოს, ქართველ ერს ისრაელშიც და მსოფლიოს ებრაულ სამყაროშიც... და ბოლოს, განსაკუთრებული აღინიშნის ღირსია ისტორიულ სამშობლოში რეპატრირებულ ქართველ ებრაელობაში ნოსტალგიის არსებობა საქართველოსადმი, როგორც მეორე სამშობლოსადმი. ყოველივე ეს კი, ქართველი ებრაელობის საქართველოსა და ქართველი ერისადმი მაღალი სულიერი დამოკიდებულების უტყუარი გამოხატულებაა.

აღინიშნა, რომ საქართველოს ებრაელობის ისტორია და ქართულ-ებრაული ურთიერთობანი საქართველოს ისტორიის განუყოფელი, მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფურცელია. ამავე დროს, როგორც ორი ერის საუკუნოვანი მშვიდობიანი თანაარსებობის მაგალითი, საყურადღებოა მსოფლიო ისტორიისათვის და შესაბამისად მას საერთაშორისო მნიშვნელობაც აქვს. ქართული ისტორიული ტრადიციის მიხედვით 2014 წელს სრულდება 2600 წელი ძველ ებრაელთა ერთ-ერთი პირველი ტალღის მოსვლა-დამკვიდრებიდან საქართველოში (ძვ. წ. 586 წელს ნაბუქოდონოსორ II-ის მიერ იერუსალიმის აოხრების შემდეგ) და ამ ხნის განმავლობაში ორმა ძველმა, ბიბლიურმა ერმა მსოფლიოს აჩვენა თანაარსებობისა და თანამშრომლობის მაგალითი. სრული საფუძველი არსებობს ამ თარიღს შესაბამისი საერთაშორისო რეზონანსი მიეცეს.

დარბაზის სხდომაზე აღინიშნა, რომ ქართული ისტორიული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თუ პიროვნული მსოფლმხედველობა ტოლს არ უდებს თანამედროვე მსოფლიოს ცივილიზაციის დონეს (ადამიანისა და ერთა უფლებების ასპექტები). იგი მტკიცე გარანტია ციურ და ამქვეყნიურ განზომილებათა წინაშე, რომ საქართველო ამ მეტად მძიმე ისტორიულ პერიოდშიც შეინარჩუნებს მისთვის ტრადიციულ რუსთველის „ვეფხისტყაოსნის" ჰუმანისტურ-პიროვნულ იდეალებს, რაც ჭეშმარიტად, ნათელი გზაა პიროვნული თუ სახელმწიფოებრივი თავისუფლებისაკენ. დაბოლოს აღინიშნა, რომ ქართულ-ებრაულ ისტორიულ ურთიერთობებს აცისკროვნებს ისიც, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა საუკუნეთა განმავლობაში ფარად იფარებდა ბაგრატოვანთა სახელმწიფო გერბს, რომელშიც საკრალურად გამოსახულებული იყო: ბიბლიური დავითის (რომლის შთამომავლებიც არიან ქართველი ბაგრატოვანი მეფეები) შურდული, რომლითაც მან ფილისტიმელი გოლიათი დაამარცხა, დავითის ქნარი, რომლითაც მარადიული ფსალმუნნი დაამღერა და მაცხოვრის წმიდა კვართი (ქართველ ებრაელთა — ელიოზ მცხეთელისა და ლონგინოზ კარსნელის მიერ იერუსალიმიდან მცხეთას „მოღებული"), რითაც მადლმოსილია საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ეკლესიური საფუძვლები.

დარბაზის სხდომამ დაასკვნა:

1) გამომჟღავნდეს და საჯაროდ მხილებულ იქნას მომხდარი ანტისემიტური ფაქტები, რომლებიც რუსული შავრაზმული, „პამიატისეული" მეთოდებით არიან ნიშანდახმული.

2) ავტორებმა და ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმა მეტი წინდახედულება და სიფრთხილე გამოიჩინონ ისეთი პუბლიკაციების გამოქვეყნებისას, რომლებიც ამა თუ იმ ნიშნით ჩრდილს აყენებენ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ქართულ-ებრაულ ურთიერთობებს.

ასოციაციის პრეზიდენტი.
8.XI.91 წ.

საქართველოს უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებების მუდმივმოქმედი კომისიის

განცხადება

იმპერიული ძალები ყოველნაირად ცდილობენ საქართველოში დესტაბილიზაციის გამოწვევას. მათთვის ერთ-ერთი კარგად გამოცდილი გზაა ერთა შორის შუღლის ჩამოგდება. სწორედ ამ მიზნით უკანასკნელ ხანს განხორციელდა საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა ინტერესის წინააღმდეგ მიმართული რამდენიმე პროვოკაციული ქმედება (სინაგოგების გაქურდვა, საფლავების წაბილწვა).

ადამიანთა უფლებების დაცვის მუდმივმოქმედი კომისია გმობს ამგვარ გამოხდომებს.

ჩვენთვის ცნობილია, რომ მსოფლიოს წინაშე დიდი დამსახურების მქონე ნიჭიერი ებრაელი ერის შვილებსაც კარგად აქვთ გაცნობიერებული, თუ ვის მიერაა ინსპირირებული ყოველივე ეს და არ მოხდება ცალკეულ პროვოკაციულ ფაქტთა არამართებული ინტერპრეტაცია.

ებრაელთა და ქართველთა წამებული წარსული მომავალშიც იქნება ურთიერთპატივისცემის, შეხმატკბილებული ურთიერთობისა და ურთიერთთანადგომის გარანტი.

რედაქციის განცხადება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" ამა წლის 15 ოქტომბერს დაიბეჭდა გიორგი გაბაშვილის წერილი „მსოფლიო ინტეგრაციული პროცესი ქრისტიანული ესქატოლოგიის შუქზე", ხოლო ა. წ. 29 ოქტომბერს — მისივე განცხადება სათაურით — „აუცილებელი განმარტება". გ. გაბაშვილის პუბლიკაციებს მოჰყვა კრიტიკული გამოხმაურება ბ-ნ გურამ ბათიაშვილისა, სათაურით — „ერთი ციტატისა და ებრაელობისადმი მიცემული დავალების თაობაზე", რომელიც დაიბეჭდა „საქართველოს რესპუბლიკის" ა. წ. 7 ნოემბრის ნომერში. ა. წ. 11 ნოემბერს გ. გაბაშვილმა „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციაში მოიტანა წერილი, სათაურით — „ერთი პასუხისა და „ჩვენი აკადემიისათვის" მიცემული ინსტრუქციის თაობაზე", რომელიც წარმოადგენს ბ-ნ გურამ ბათიაშვილის საპასუხო წერილის პასუხს.

„საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას მიზანშეწონილად არ მიაჩნია მოცემულ თემაზე პოლემიკის გამართვა ხელისუფლების ოფიციალური ორგანოს ფურცლებზე.

ვინაიდან ბ-ნ გიორგი გაბაშვილს აქვს სრული უფლება თავი დაიცვას მის მიმართ გამოთქმული ბრალდებებისაგან, მართებულად მიგვაჩნია ეს რომელიმე სხვა გაზეთის საშუალებით გაკეთდეს.

ვინ არის იგი, ბ-ნი მიხეილ თავხელიძე?

ჩვენი გაზეთის რედაქცია აქამდე თავს იკავებდა საკუთარი პოზიციის გამოხატვისაგან თვითმარქვია „სამხრეთ ოსეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის" უკანონო უზენაესი საბჭოს ოდიოზური თავმჯდომარის, ტორეზ კულუმბეგოვის, თბილისში მიმდინარე სასამართლო პროცესის მიმართ, რათა რედაქციისთვის არავის დაებრალებინა უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა, არ გვინდოდა ვინმეს ესაყვედურა, თითქოს გავლენას ვახდენდეთ სასამართლო პროცესზე.

თუმცა ამას არაა დაგიდევთ ზოგიერთი გაზეთი, რომელსაც დემოკრატიულობის და ობიექტურობის პრეტენზია აქვს. მათ შორისაა „ნეზავისიმაია გაზეტა". მისი კორესპონდენტი საქართველოში, ბ-ნი ნოდარ ბროლაძე, ერთგვარად ცდილობდა ჟურნალისტის პროფესიული ეთიკის საზღვრებს ძალიან არ გასცდენოდა. როგორც ჩანს, გაზეთის რედაქციას ეს არ სიამოვნებდა. ამიტომაც მან გვერდში ამოუყენეს ბ-ნი მიხეილ თავხელიძე (საქართველოს ამით პატივი დასდეს!). მისი მოსვლით პუბლიკაციების ტონი ჩვენს წინააღმდეგ გამძაფრდა. პირველი დღიდანვე იგი შხამსა და ნაღველს ანთხევს საქართველოს მისამართით.

ამ გაზეთის ფურცლებზე მ. თავხელიძემ (ერთადერთმა რუსულ პრესაში) უკვე მოასწრო გალანძღა საქართველოს რესპუბლიკის უაღრესად დემოკრატიული კანონპროექტი მოქალაქეობის შესახებ და ამასთან სრული იურიდიული უვიცობა გამოამჟღავნა. „დემოკრატიულად" მოაზროვნემ არც ამჯერად დაახანა და ტ. კულუმბეგოვის სასამართლო საქმის გაშუქებას შეუდგა. მიუკერძოებელ ჟურნალისტად იგი ახლაც არ მოგვევლინა, თანაც არამკითხე ადვოკატის როლი იტვირთა.

მკითხველებს ვთავაზობთ „ნეზავისიმაია გაზეტას" 26 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ პუბლიკაციას ჩვენი კომენტარით.

„XVI საუკუნეში საქართველოს მიწაზე ალანები მოვიდნენ..."

ასე იწყება საბრალდებო დასკვნა ტორეზ კულუმბეგოვის საქმეზე

ამა წლის დამდეგს დაპატიმრების დროს იგი იყო სამხრეთ ოსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე. ხელისუფლების ამ ორგანოს არჩევნები შარშან 9 ნოემბერს გაიმართა. საქართველოს მთავრობამ ეს არჩევნები უკანონოდ ცნო, ხოლო თვით ფაქტი მისი მოწყობისა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების საბაბი გახდა. მაშინ მხოლოდ ჩაღდებოდა კონფლიქტი სამხრეთ ოსეთში.

კულუმბეგოვი დაჰპირდა ხალხს, მოსკოვი მხარს დაგვიჭერსო, მაგრამ მოსკოვი არ დაეხმარა და ცხინვალში ალაპარაკდნენ კულუმბეგოვის გადაყენებაზე. სწორედ ამ დროს იგი დააპატიმრა ქართულმა მილიციამ სამხედრო ნაწილის განლაგებაში, როცა ქართული და ოსური მხარეების მოლაპარაკების მორიგი რაუნდი დამთავრდა. დაპატიმრების შემდეგ კულუმბეგოვის რეიტინგმა ოსებს შორის ისევ მოიმატა.

მას ბრალად ედება არაერთი დანაშაული: ეროვნული შუღლის გაღვივება, მკვლელობის მცდელობა, საბრძოლო იარაღის შენახვა, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება. როგორც კულუმბეგოვის ადვოკატი ლეონიდე ხვაშნიანსკი ამბობს, საბრალდებო დასკვნის ტექსტი შემდეგი სიტყვებით იწყება: „საქმის გამოძიებით დადგენილია: XVI საუკუნეში საქართველოს მიწაზე მოვიდნენ ალანები..." შემდეგ მოდის ვრცელი ისტორიული ცნობა ალანთა (თანამედროვე ოსების წინაპართა) მიერ საქართველოს ტერიტორიის დაპყრობის შესახებ. „გამოდის, რომ ყოველივე ამაში ბრალი მიუძღვის ჩემს დასაცავს", — საგონებელშია ჩავარდნილი ადვოკატი ხვაშნიანსკი.

საქმეში გადის თერთმეტი დაზარალებული, ბრალდების 82 და დაცვის 15 მოწმე. მთელი ამ დროის მანძილზე მოხერხდა მხოლოდ 4 დაზარალებულისა და მოწმის დაკითხვა. როგორც კულუმბეგოვის ადვოკატს ჰგონია, „განზრახ არიდებენ თავს სასამართლოში გამოცხადებას საქმის განხილვის გაჭიანურების მიზნით". სხვათაშორის, თვით სასამართლოს მიმართ არც ადვოკატს, არც „მემორიალისაგან" წარმოგზავნილ მეთვალყურეს პრეტენზიები არა აქვთ. სასამართლო, როგორც ისინი ამბობენ, ობიექტურია. სამაგიეროდ პრეტენზიები აქვთ იმის მიმართ, თუ როგორ ამყოფებენ კულუმბეგოვს სასამართლოს შენობაში პროცესის დაწყების წინ. როგორც ადვოკატი ამბობს, მას საათობით უხდება ყოფნა მტვრიან სარდაფში ვირთხებთან ერთად.

თვით ტორეზ კულუმბეგოვს თავისი საქმე შეთითხნილად მიაჩნია. განსასჯელის ადვოკატმა ხაზგასმით აღნიშნა, წინასწარი გამოძიების მასალებში კულუმბეგოვისათვის წარდგენილი არც ერთი ბრალდება არ დადასტურდა და დარწმუნებული ვარ, სასამართლოშიც ვერაფერი დაუმტკიცდებაო.

ბატონი მ. თავხელიძე სტატიას თაღლითურად იწყებს, რათა საქმეში ჩაუხედავი მკითხველი დააბნიოს და აჩვენოს ქართველთა „კაცთმოძულეობა". თურმე ნუ იტყვით, არსებულა უწყინარი სამხრეთ ოსეთის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომლის არჩევნებიც გასული წლის 9 ნოემბერს (სინამდვილეში ეს იყო 9 დეკემბერს) ჩატარებულა, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აურჩევიათ ტ. კულუმბეგოვი და მხოლოდ შემდეგ უცვნია საქართველოს მთავრობას იგი უკანონოდ. არც ერთი სიტყვა თუ მინიშნება იმისა, თუ რას ფიქრობს თვითონ ჟურნალისტი, იყო თუ არა ყოველივე ეს უკანონო და ანტიკონსტიტუციური, იყო თუ არა მანამდე რამდენიმე გაფრთხილება, მათ შორის საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურისა, ამგვარი აქტის დანაშაულებრივი ხასიათის შესახებ.

უმთავრესი ის არის, რომ მ. თავხელიძემ ურცხვად დაარღვია დავის დროს ჭეშმარიტების დადგენის ერთადერთი სწორი გზა, რომ უნდა მოუსმინო მეორე მხარეს, რომ სხვანაირად ჟურნალისტი არ უნდა ენდოს შეუმოწმებელ მასალას. იგი მონური ერთგულებით ენდობა ადვოკატის სიტყვებს, რომლებიც სიტყვასიტყვით მოჰყავს, როგორც უდავო ჭეშმარიტება. იმის გასარკვევად, თუ რა სწერია საბრალდებო დასკვნაში და როგორ იწყება იგი, ყველაზე ადვილი იყო პირადად გასცნობოდა საბრალდებო დასკვნის ტექსტს. ეს ძნელი საქმე არ იქნებოდა პატივცემული ჟურნალისტისთვის, რადგან საბრალდებო დასკვნის ტექსტის ზარ-ზეიმით გამოქვეყნება უკვე მოასწრო მოსკოვის პრესამ.

საბრალდებო დასკვნაში არც ერთი სიტყვა არ არის XVI საუკუნეში ალანთა (ოსთა) მოსვლის შესახებ საქართველოში. დასკვნის მეორე გვერდზე წერია: „თანდათანობით XVII-XVIII საუკუნეებიდან ოსი ხალხის ნაწილი დამკვიდრდა ქართული სახელმწიფოს შიდა ქართლის ჩრდილოეთ მიმდებარე ტერიტორიაზე". სტატიაში მარტო ტექსტი კი არ არის დამახინჯებული, არამედ ერთი საუკუნეც კია მოპარული. ტექსტისა და სტატიის სათაურის ამ სიყალბეს მოსდევს მტკიცება, თითქოს საბრალდებო აქტი შეიცავს ფართო ისტორიულ ცნობას იმის შესახებ, თუ როგორ დაიპყრეს ალანებმა (ოსებმა) საქართველოს ტერიტორია. არაფერი ამის მსგავსი ტექსტში არ არის და უკბილო ოხუნჯობა ადვოკატისა, ეს რა საწყალი კულუმბეგოვის ბრალიაო, მას მახვილსიტყვაობადაც ვერ ჩაეთვლება, ხოლო ამ ტყუილის ტირაჟირება ბ-ნი მ. თავხელიძის არაკეთილსინდისიერების კიდევ ერთი დადასტურებაა.

მითითებაც სასამართლოს ობიექტურობაზეა, ალბათ მასზე ზემოქმედებისთვის გამიზნული ფანდია.

რაც შეეხება ვირთხებს, ისინი არც პატიმარს და არც რიგით მოქალაქეებს არ უნდა აწუხებდეს.

ასეთია ქართული გვარის მქონე ჟურნალისტის ბ-ნი მიხეილ თავხელიძის დამოკიდებულება ზოგადად ჭეშმარიტების, ისტორიული წარსულის, მართლმსაჯულების და, საერთოდ, საქართველოს მიმართ.

ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამგვარი მსოფლმხედველობისა და ზნეობის მატარებელი ადამიანი ხმაურობს და ჩივის დღეს უცხოეთში დემოკრატიის პრინციპებისა და ადამიანის უფლებების შელახვის თაობაზე ჩვენში.

სამარადისოდ ქართველთა გულში...

„**ქართველი** ერის გზა ქრისტეს გზაა, ეკლიანი გზა ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგინებისა!" — ოქროსფრად კიაფობს სპეტაკი მარმარილოს კვარცხლბეკზე ამოტვიფრული საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის სიტყვები. სწორედ ასეთი ცხოვრებისეული გზა განვლო ქართველ შეფიცულთა უკანასკნელმა რაინდმა ალექსანდრე სულხანიშვილმა, რამეთუ მოკვდავთათვის საფიცარი სამშობლოდან იძულებით გადახვეწა მართლაც რომ ჯვარცმის ტოლფასია. ერთი წლის წინათ სრულიად საქართველომ დაინახა და შეიგრძნო ამ წამებული კაცის მთელი ცხოვრების ავ-კარგი, როცა ათეული წლების შემდეგ ბედის უკუღმართობით მოწყვეტილი საუკეთესო შვილთაგანი დაუბრუნდა სამშობლოს. საქართველოს ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის ძმადნაფიცი და თანამებრძოლი, სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული კაცი ალექსანდრე სულხანიშვილი სულ ცოტა ხანს ტკბებოდა მამულით, და სავალალოდ მალე აღსრულებული თავისივე ანდერძისამებრ მშობლიურ სოფელ ახტურში თეთრი გიორგის ეკლესიის ეზოში დაიკრძალა. ერთი წელიწადია, რაც აღარ ფეთქავს სამშობლოს სამსახურსა და მის ნატვრაში დამაშვრალი ბატონი ალექსანდრეს გული.

10 ნოემბერს ეს წმინდა ადგილი კიდევ ერთი ამაღელვებელი მოვლენის მოწმე გახდა. აქ გაიხსნა ალექსანდრე სულხანიშვილის მემორიალი. ეს ძვირფასი საჩუქარი სრულიად უანგაროდ უძღვნეს ბატონი ალექსანდრეს ხსოვნას ძეგლის პორტრეტის ავტორმა, თბილისის სამხატვრო აკადემიის ქანდაკების კათედრის პროფესორმა ანზორ გომართელმა და ხუროთმოძღვარმა ქუჩი პუბაზრიამ. მათთან ერთად ამ კეთილშობილური საქმის აღსრულებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით ცეკავშირის დემოგრაფიული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს ზივე კვირიკაძეს, საზოგადოების წევრებს მურთაზ ინწკირველს, ჯემალ ბეჟიტაშვილს და სხვებს, რომლებმაც თავი დაადგეს ამ მამულიშვილურ წამოწყებას.

ძეგლის გახსნის საზეიმო რიტუალზე სტუმართა შორის იყვნენ ჩვენი სანფრანცისკოელი თვისტომი ნოშრევან გალაშვილი, ქართული ეროვნული მოძრაობის ქომაგი ბატონი ედუარდ სნაისტინი კიევიდან, ბატონი ალექსანდრეს ახლობლები, ნათესავები, მისი საქმის დამფასებლები...

ძეგლის გახსნის ცერემონიაზე ახმეტის რაიონის პრეფექტმა ივანე ტურაშვილმა ისაუბრა ბატონი ალექსანდრეს ტრაგიკული ცხოვრების, იმ მძიმე ბრძოლის შესახებ, რომელსაც ეწეოდა ქართველ შეფიცულთა მცირე რაზმი კომუნისტური იმპერიის დამკვიდრების წინააღმდეგ. ღირსეულმა მამულიშვილებმა, — თქვა ბატონმა ივანემ, — თავისი საქმით უერთგულეს დიდი წინაპრების — თამარის, დავითის, წმინდა ილია მართლის გზასა და ტრადიციებს. მათი ღვაწლი მოგვიწოდებს დღესაც ერთიანობისა და შეკავშირებისაკენ!

შეკრებილთ სიტყვებით მიმართეს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ზაურ გომართელმა, იურისტმა, იუსტიციის უფროსმა მრჩეველმა ნიკოლოზ შამკინმა, ბატონი ალექსანდრეს უახლოესმა ნათესავმა თეიმურაზ სულხანიშვილმა.

მშობლიურ მიწა-წყალს მოწყვეტილი და მონატრებული ყველა შეფიცულის სიმბოლური საფლავი უწოდა ამ წმინდა განსასვენებელს ჟურნალისტმა პაატა ნაცვლიშვილმა, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ ხანს მხარში ბურჯად ედგა სამშობლოსაკენ მომავალ გრძელსა და მძიმე გზაზე დამდგარ უკვე დაუძლურებულ შეფიცულთა უკანასკნელ მოჰიკანს. წლისთავის პანაშვიდი გადაიხადეს და მემორიალი აკურთხეს ალავერდელმა მიტროპოლიტმა მეუფე გრიგოლმა და თეთრი გიორგის ეკლესიის წინამძღვარმა მამა ალექსიმ.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა ერთხელ კიდევ დაადასტურა თავისი პატივისცემა და სიყვარული ერის ერთ-ერთი წარჩინებული შვილისადმი, რომლის ცხოვრება მარადჟამს ჭეშმარიტი მამულიშვილობის მაგალითი იქნება მომავალი თაობებისათვის.

მაია ალუდაური,
საქინფორმის კორ.

• • •

სურათზე: ალექსანდრე სულხანიშვილის ძეგლი ახმეტაში.
გიორგი შარაშენიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

რეკლამა

ხელოვნების მენეჯერთა მომზადების უმაღლესი სასწავლებელი

აცხადებს მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

1. ხელოვნებათმცოდნეობა
2. თეატრმცოდნეობა
3. კინომცოდნეობა
4. მუსიკათმცოდნეობა
5. ქორეოგრაფია
6. სამუზეუმო საქმიანობა
7. მხატვრული მოდელირება
8. ხალხური რეწვა და ყოფითი კულტურა

სწავლა წარიმართება ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალური საგნებით. თქვენ შეისწავლით საბაზრო ეკონომიკის საფუძვლებს, ბიზნესის ხელოვნებას, მარკეტინგს, მენეჯმენტს, ინფორმატიკას, გაძლიერებულად — უცხო ენებს, იურიდიულ დისციპლინებს, საავტორო უფლებებსა და საპატენტო სამართლის საფუძვლებს, თანამედროვე მენეჯერის ფსიქოლოგიას და საქმიან ურთიერთობას.

სწავლების ხანგრძლივობაა სამწელიწადნახევარი.

სასწავლებელში მოწვეული არიან ცნობილი პროფესორ-მასწავლებლები და უცხოელი სპეციალისტები.

სწავლების პროცესში დაეუფლებით ხელოვნების ექსპერტის რთულ სპეციალობას, ბიზნესის საიდუმლოებას, საქმიან თამაშებს, მარკეტინგის საფუძვლებს, საპატენტო და საავტორო უფლებების დაცვის დარგში საქმიანობას, საერთაშორისო სამართალს, გარიგება-ხელშეკრულებების დადებას, დაესწრებით აუქციონებს და სხვა.

წარჩინებული სტუდენტები მიიღებენ სტიპენდიას და სტაჟირებას გაივლიან საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნებში.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე პირები ორმოც წლამდე.

სასწავლებელში ჩარიცხვა მოხდება შესაბამის სპეციალობაზე გასაუბრების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე.

უმაღლესი სასწავლებელი სრულ სამეურნეო ანგარიშზეა. წლიური შენატანი შეადგენს 6000 (ექვსი ათას) მანეთს როგორც გადარიცხვით, ასევე ნაღდი ანგარიშით.

აბიტურიენტებმა განცხადება უნდა შემოიტანონ რექტორის სახელზე დადგენილი ფორმით შემდეგი საბუთების დართვით:

1. ატესტატი ან დიპლომი (დედანი)
2. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ. ფორმა 086
3. ფოტოსურათი 4 ცალად 3X4
4. პასპორტს წარმოადგენენ პირადად.

საბუთების ჩაბარებისთანავე აბიტურიენტი იხდის ას მანეთს საორგანიზაციო ხარჯებისათვის.

საბუთების მიღება იწარმოებს 14-დან 18 საათამდე, ყოველდღე, გარდა კვირისა. 1991 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით.

გასაუბრება და ჩარიცხვა მოხდება 30 ნოემბრამდე. სწავლა დაიწყება 2 დეკემბერს.

ჩვენი მისამართია: თბილისი, დგებუაძის, ქ. 8, ამიერკავკასიის რკინიგზის № 1 საშუალო სკოლა, დ. უზნაძის ქუჩის გადაკვეთაზე, მთავარ საფოსტო სამმართველოს წინ. ცნობისათვის მოგვმართეთ ტელეფონით 95-14-84.

ხელოვნების მენეჯერთა უმაღლესი სასწავლებლის რექტორატი.

გამოიწერეთ გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა

იგი გაისადაც კვირაში ხუთჯერ გამოვა

მთელი წლით ღირს 26 მანეთი და 76 კაპიკი, ექვსი თვით—13 მანეთი და 38 კაპიკი,
სამი თვით—6 მანეთი და 69 კაპიკი, ერთი თვით—2 მანეთი და 23 კაპიკი

აქვე შეგახსენებთ, რომ ხელმოწერა ორჯერ უფრო იაფი დაგიჯდებათ, რადგან ჯიხურებში გაზეთის ერთი ეგზემპლარი 20 კაპიკი ეღირება.
ჩვენი ინდექსია 66434.

მთავარი რედაქტორი მარიკა ახალაშვილი

მისამართი: 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14,
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო
კომბინატში, ხოშარაულის ქ. № 29.
ინდექსი 66434.

XI